

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გაზეთი
გამოდის
1927 წლიდან



მე-4-5 გვ.

რატომ მიეცა რუსეთს
აბრეწული
მოქმედების
თავისუფლება?



ახალი წელი

უნივერსიტეტი

25 თებერვალი, ოთხშაბათი, 2009 წ. №2 (2084)

ლონისძიება თსუ-ში: „რუსული აბრეწია — 1921 წლის თებერვალი — 2008 წლის აბრეწი“



ნითელი არმიის შემოსვლა თბილისში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 25 თებერვალს მართავს ღონისძიებათა ციკლს: „რუსული აბრეწია — 1921 წლის თებერვალი — 2008 წლის აბრეწი“.

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, 25 თებერვალს, 10 საათზე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში გაიმართება 1921 წლის თებერვალში კოჯორთან და ტაბახმელასთან დაღუპულ იუნკერთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

ამავე დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყობა კონფერენცია თემაზე — „1921 წლის 25 თებერვალი — ისტორია, შედეგები, გაკვეთილები“. კონფერენციის მიზანია ისტორიული ფაქტების ახლებური ანალიზი და რუსეთის იმპერიულ ზრახვებს შორის პარალელუბის გავლენა წარსულსა და აწმყოში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ასევე, ღონისძიებაზე მონაწილე საქართველოს ხელისუფლებისა და უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

25 თებერვალს თსუ-ის პირველი კორპუსის ფოიეში გაიხსნება გამოფენა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით გაიმართება თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

ზურაბ აბაშიძე:

„ვინც
აპონტროლებს
წარსულს, ის
აპონტროლებს
დღევანდელს“

მე-3 გვერდი

მსოფლიოს
რეაქცია: 1921 წლის
თებერვალი - 2008
წლის აბრეწი

მე-4-5 გვ.

ბიბულაძე: „ერის
ბანადგურება
მხოლოდ
კულტურული
ელიტის მოსპობით
არის
შესაძლებელი“

მე-6 გვერდი

როსტომ ჩხეიძე:
„მონური
ფსიქოლოგია
აღვილად
თავდასაღწევი
როდია“

მე-7 გვერდი

სინათლისა და
სიბნელის სასტიკი
ბრძოლა
უნივერსიტეტში

მე-7-8 გვ.

რეპრესირებულ
აღამიანთა სევდა

მე-9 გვერდი

ახლად გამხელილი
საქართველოს
ისტორია —
1918-1921 წლები

მე-10-11 გვ.

დღეს, როგორც არასდროს, გვერთებს არღვიწყება წარსული გამოცდილებისა



გიორგი ნუშუა, თსუ-ის რექტორი, პროფესორი:

— 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის ქუჩებში საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიის გამოჩენა და საქართველოს ანექსია ისტორიული გზაგასაყარია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის განვითარებას მიმართულ რადიკალურად შეუცვალა და მრავალი წლის განმავლობაში ნეგატიურ მოვლენათა დასაბამად იქცა. თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში, მაშინ, როდესაც დანარჩენი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ახალ ფაზაში შედიოდა, საქართველოს ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებისათვის უხდებოდა ბრძოლა და ხშირად სისხლის ფასადაც კი. პირველი ქართული უნივერ-

სიტეტი ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა სუფევდა. 1921 წლიდან მოყოლებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც დიდი მსხვერპლი გაიღო ამ იდეის დასაცავად და ჩვენს პირად მოვალეობად მიგვაჩნია თავისუფლებისათვის ბრძოლაში დევნილთა და დაღუპულთა ღვანლის გახსენება და მათთვის პატივის მიგება.

1921 წლის 25 თებერვლის გახსენება, წელს, განსაკუთრებით მძიმეა ემოციურად, რადგან ახლა უკვე ყველა კარგად ვაცნობიერებთ, რომ ეს ტრაგიკული თარიღი მხოლოდ ისტორიის საკუთრებას კი არ წარმოადგენს, არამედ იმ ხანგრძლივი აგრესიის სიმბოლოდაა ქცეული, რომლის შედეგებიც განსაკუთრებული სიმწვავეთა კიდევ ერთხელ შევიგრძენით გასული წლის აგვისტოში. ამიტომაც დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს ისტორიის გაკვეთილების გათვალისწინება და არდავინწყება წარსული გამოცდილებისა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 25 თებერვალს დაგეგმილი ღონისძიებების მონაწილეობა — ისტორიის ახლებურად გააზრებითა და სწორი დასკვნების გამოტანით უნივერსიტეტი დღესაც თავის სიტყვას იტყვის.

1921 წლის 25 თებერვალი — ისტორიის შედეგები, გაკვეთილები

საბჭოთა რუსეთი საუკუნოვანი ბატონობის უღელქვეშ გაბმულ ქართველ ხალხს სისტემატურად ართმევდა არა თუ მარტო სახელმწიფოებრივი აზროვნების ძარღვს, არამედ კლავდა მასში იმ ბუნებრივ შეგნებასაც, რომ იგი არის ქართველი ერი. ამდენად იყო დამორჩუნველი მისი „პატრონობა“, რომელსაც საქართველოს მიმართ ერთი ფორმულა აქვს მუდამ: დამწყვდელი მყავდი, მყევზარ და უნდა მყავდეთ. ასეთ ვითარებაში უნებდა და უნევს დღესაც საქართველოს ერთ მთლიან სახელმწიფო ორგანიზმად ჩამოყალიბებისთვის და მიღწეული თავისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლა. იმპერიული რუსეთის ტრანსფორმაცია დედამინის ვერც ერთმა „შემორჩუნებამ“ ვერ მოახერხა. როდესაც დამპყრობელი არ ცვლის თავის ტაქტიკას და დამოკიდებულებას შენს მიმართ, შენ უნდა ეცადო — ჩასწვდე მისგან თავის დახსნის ერთგვარ ხერხს. სწორედ ამისთვის არის აუცილებელი ისტორიული განკითხვა მონაწილეს ქართველმა ერმა — მის რა შეცდომებზე დააბრჯებს ამჟამად რუსეთი? როცა ისტორია წინ გიდევის და გაქვს არა ერთი მაგალითი ერის წყმარით წინამძღოლთა ჯიჯგნისა, ეროვნული ნიადაგის გამოცლით ერთობის მოშლისა და ღალატისა, წარსულისა და აწმყოს სწორი გაანალიზების საფუძველზე, ალბათ, თითოეულმა უნდა გააკეთოს დასკვნა — რა არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა? „კარგად უნდა იცოდეს წარსული, რათა აკონტროლო აწმყო“ — სწორედ ამ თეზისიდან გამოვდივართ და დღევანდელი გადასახედიდან გვსურს გავაანალიზოთ 1921 წლის თებერვლის რუსული ოკუპაციის თანმდევი მოვლენები და მისი შედეგები. გვესაუბრება ისტორიკოსი მხატვარ გურული.

ნიმუ კაპულია

— როგორ მოახერხა საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს — რა ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა მაშინ საქართველოს გამარჯვება? როგორ დაუძვრა ის რუსეთს — თუ შეიძლება ასე ითქვას? — 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენა კანონზომიერი მოვლენა იყო. იგი განაპირობა შემდეგმა კონკრეტულმა მიზეზებმა: 1. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის (XIX საუკუნის დამდეგი) შემდეგ დაიწყო დიდი ეროვნული მოძრაობა, რომელმაც რამდენიმე ეტაპი განვლო.

მე-2 გვერდი

1921 წლის 25 თებერვალი – ისტორიის შედეგები, გაკვეთილები

პირველი გვირგვინი

ამ ეტაპთან უმნიშვნელოვანესი იყო XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა, რომლის წინამძღოლიც ილია ჭავჭავაძე გახლდათ. მან ქართველი ერი მიიყვანა დამოუკიდებლობის კარიბჭესთან, თუმცა თვითონ დამოუკიდებლობის აღდგენას ვერ მოეხერხა. XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობის საბოლოო შედეგი არჩილ ჯორჯაძემ ასე გამოხატა: „შეუწყნარებლობა რუსული სახელმწიფოებრიობისა“. ასე რომ, XX საუკუნის დამდეგისთვის ქართველი ერი იდუარად მზად იყო სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ეს მზაობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ეროვნული მოძრაობა ვერ შეაფერხა კოსმოპოლიტიზმის ძლიერმა შემოტევამაც კი. 2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) პროცესში საერთაშორისო არენაზე შექმნილმა ძალთა ახალმა განლაგებამ. ომმა მრავალეროვანი იმპერიები (ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, გერმანია, ოსმალეთი) ჩააგდო უმძიმეს მდგომარეობაში — დაიწყო დაპყრობილი ერების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. ომმა უკიდურესად დაასუსტა რუსეთის იმპერია, ხოლო 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რომანოვების იმპერიას საერთოდ ბოლო მოუღო. რევოლუციის მოწყვეტა რუსული სახელმწიფოებრიობის კრიზისის კიდევ უფრო გამწვავება. რუსეთის დროებითმა მთავრობამ კრიზისის დაძლევა ვერ შეძლო. ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

— სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მართვა ითავეს, ეროვნული ინტერესებისგან შორს იდგნენ და ინტერნაციონალიზმის იდეით კვებავდნენ ერს, როგორც ამას ისტორია ამბობს. სახელმწიფოს მართვის სადავეების აღება მათი მხრიდან ხომ არ იყო რუსეთისთვის კარგი ნიშნავი იმ თვალსაზრისით, რომ ბოლშევიკური რუსეთი ადვილად შეძლებდა საქართველოს დაპყრობას მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების მმართველობის პირობებში?


— პირველმა მსოფლიო ომმა ლახვარი ჩასცა სოციალისტურ ინტერნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს. ეს იყო ეპოქა, როდესაც ძლიერი აღმავლობა განიცადა ნაციონალიზმმა (ზოგიერთ ქვეყანაში მოიწინააღმდეგებინა დიდი იმპერიებიდან დაპყრობილი ერების ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფა საყოველთაო ტენდენციად იქცა. ვერც ერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატია ამ პროცესს დაეხმარა ვერც ვერც. სოციალ-დემოკრატია ან უნდა მიმხრობოდა ეროვნულ მოძრაობას, ან უნდა ქვეყლიყო უმნიშვნელო ძალად. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) სწორად შეაფასეს მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირეს მხარი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პოლიტიკური ცხოვრების სათავეში სოციალ-დემოკრატების ყოფნას არ გაუადვილებია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა. 1918 წლისთვის რუს სოციალ-დემოკრატებს (ბოლშევიკებს, კომუნისტებს) და ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) შორის იმდენად ძლიერი დაპირისპირება იყო, რომ ამ ორი პოლიტიკური ძალის შერიგება აღარ შეიძლებოდა. საბჭოთა რუსეთი და საქართველო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ისტორიით ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდებოდა. საბჭოთა რუსეთი იყო დიქტატორული, ტოტალიტარული სახელმწიფო, ხოლო საქართველო წარმოადგენდა დასავლური ტიპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოს. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა: ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ, ირაკლი წერეთელმა, აკაკი ჩხენკელმა, ნოე რამიშვილმა და სხვებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში საბჭოთა რუსეთის მობრუნება მათი პოლიტიკური კარიერის და, ასევე, სიცოცხლის დასასრულსაც ნიშნავდა.

— საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის რასტრატეგია და გეგმა შეიმუშავა რუსეთმა? საქართველოში შექმნილი რა ვითარება აძლევდა მას ხელს თავისი ზრახვების სისრულეში მოსაყვანად?

— საბჭოთა რუსეთი მტრულად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, იმხანად (1918 წლის მაისში) რუსეთს არ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელება. სწორედ ამიტომ, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ტაქტიკა აირჩია. რუსეთი დაადგა აფხაზი და ოსი სეპარატისტების

ნაქებების გზას. აფხაზეთისა და შიდა ქართლის საქართველოდან ჩამოცილებით მოსკოვი ესწრაფოდა დაესუსტებინა საქართველო, ხელი შეეშალა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის. რუსეთის მიერ პროვოცირებული აფხაზი და ოსი სეპარატისტები ცდილობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. სეპარატისტები უზავდ მარაგდებოდნენ ფულითა და იარაღით, საქართველოს ტერიტორიაზე ფარულად შემოდოდნენ ნიუთლი არმიის ინსტრუქტორები, შეიარაღებული რაზმებიც კი. 1918 წელს აფხაზეთში და 1920 წელს შიდა ქართლში საქართველოს მთავრობამ სამხედრო ძალის გამოყენებით შეძლო იურისდიქციის შენარჩუნება. მარცხის მიუხედავად სეპარატისტები ბრძოლას არ წყვეტდნენ.

— გასაგებია, რომ რუსეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ყოველთვის ეყრდნობოდა საქართველოში სეპარატისტულ ძალებს და საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას. რამ განაპირობა ის ფაქტორი, რომ ქართველ ბოლშევიკთა სახით რუსეთმა საკმაოდ სერიოზული ძალა ჩამოაყალიბა, რომელიც ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით საკუთარი მთავრობის, საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდა. რა ინტერესი ამოძრავებდა მათინ ქართველ ბოლშევიკებს — ე.წ. მეხუთე კოლონას, რომელსაც სტალინიც მოძღვრავდა?



— ცხადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემაში ლომის წილი დაიდო საბჭოთა რუსეთის „მეხუთე კოლონამ“ — ქართველმა ბოლშევიკებმა. „მეხუთე კოლონას“ რუსეთი დიდხანს და გულდასმით აშზადებდა. რუსეთმა ისარგებლა საქართველოს მიძიმე მდგომარეობით და 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით რუსეთის „მეხუთე კოლონის“ ხელშეუხებლობას მიადანია. საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო კომუნისტური მოღვაწეობისათვის (ე.წ. ანტი-სახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის) მსჯავრდებული ქართველი და არაქართველი ბოლშევიკები პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა და მომავალშიც აღარ დაესაჯა. ამით ისარგებლა ქართველმა ბოლშევიკებმა და დაიწყეს კარგად ორგანიზებული კომუნისტური პროპაგანდა. ამასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იქმნებოდა იარაღის საიდუმლო საწყობები, ამზადდებდნენ შეიარაღებულ რაზმებსაც.

— რა ზომებს მიმართავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ძალთა მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი კამპანიის წინააღმდეგ?

— საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ცხადია, ებრძოდა რუსეთის „მეხუთე კოლონას“. ეს ბრძოლა, როგორც აღვნიშნეთ, შეაფერხა ზემოთ ხსენებულმა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას ისლა დარჩნოდა, რომ დაპატიმრებული ბოლშევიკები ქვეყნიდან გაეხსლებინა. იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოდან გასახლებული ბოლშევიკი არალეგალურად ისევ ბრუნდებოდა უკან, მას ისევ პატიმრებდნენ და მეორედ ასახლებდნენ ქვეყნიდან. ის ფაქტი, რომ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის დაპატიმრებული ბოლშევიკი გასამართლება საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო, დიდად ახალისებდა „მეხუთე კოლონას“. საბოლოოდ ბაქოში თავი მოიყარა საქართველოდან გასახლებულმა უამრავმა ქართველმა ბოლშევიკმა, რომლებიც შეუერთდნენ თბილისზე სალაშქროდ დაძრულ რუსეთს XI წითელ არმიას.

— რამდენად იყო მზად საქართველოს მთავრობა რუსეთთან საომრად? ბევრი საზოგადოებრივი პოლიტიკური მოღვაწე აცხადებდა, რომ ნოე ჟორდანიას ქართული ჯარის შექმნის წინააღმდეგი იყო და რომ იგი ბოლშევიკური მთავრობის იმედად რჩებოდა...

— სრული სიცრუეა ის, რომ ნოე ჟორდანიას ქართული ჯარის შექმნის წინააღმდეგი იყო და რომ მთელ იმედებს სახალხო გვარდიაზე ამყარებდა. საქართველოში ჯერ კიდევ 1917 წელს დაიწყო პირველი ქართული კორპუსის ფორმირება. არმიის შექმნა შემდგომშიც გაგრძელდა. ეს პროცესი წარმატებით ვერ დავირგვინა არა იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობას ან პირადად ნოე ჟორდანიას არ სურდა ძლიერი არმიის შექმნა, არამედ იმიტომ, რომ არ არსებობდა აუცილებელი სახსრები. ქვეყნის ბიუჯეტი უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ბიუჯეტიდან არმიის შესაქმნელად აუცილებელი თანხის მხოლოდ 10-15%-ის გამოყოფა თუ ხერხდებოდა. რუსეთის კავკასიის არმიიდან საქართველოს დარჩა გარკვეული შეიარაღება (მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი, შაშხანები, ტყვიამფრქვევები, ქვემეხები), მაგრამ უკვე 1918 წელს იგრძნობოდა ვაზნებისა და საარტილერიო ყუმბარების დიდი დეფიციტი. ეს დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდა 1920 წლისთვის. საქართველოში ვაზნებისა და საარტილერიო ყუმბარების დამზადება არ წარმოებდა, მათი შესყიდვა კი რუსეთში შეუძლებელი იყო. საქართველოს მთავრობამ 1920 წელს დასავლეთ ევროპაში (სვანეთი იარაღის შესყიდვა, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ კი ასეთი სურათი მივიღეთ: 1921 წლის დამდეგისთვის საქართველოს არმიის შეიარაღებაზე არსებული თითოეულ შაშხანზე დაახლოებით 10 ვაზნა მოდიოდა, თითოეულ ქვემეხზე — 2-3

- სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე. ასეთი მოკავშირე 1918-1921 წლებში საქართველომ ვერ იპოვა.
- დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მთელი ქართველი ერის მტკიცე ერთობა, ეს ერთობა კი 1921 წლისათვის დარღვეული იყო.
- საქართველოს სჭირდება კარგად შეიარაღებული და განვრცოილი არმია, რომელიც მოკავშირეთა ქმედით დახმარებამდე მტერს არ მისცემს საშუალებას მოახდინოს ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია.

ყუმბარა. ცხადია, ასეთ პირობებში საბჭოთა რუსეთის ნიუთლი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა უპერსპექტივო იყო. მოსკოვმა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად დააჯგუფა სამი არმია. XI ნიუთლი არმია განლაგებული იყო სომხეთში და აზერბაიჯანში. არმიის ძირითად ძალას სომხეთიდან, ლორეს ნეიტრალური ზონის გავლით, უნდა შეეცა თბილისისთვის. ამავე არმიის საკავალერიო ნაწილს აზერბაიჯანიდან უნდა შეეცა სიღნაღისათვის, ხოლო სიღნაღის დაკავების შემდეგ — თბილისისთვის. ჩრდილო კავკასიაში (გლადიკავში) დისლოცირებულ X ნიუთლი არმიას დარიალის ხეობის გავლის შემდეგ უნდა შეეცა დუშეთისთვის, ხოლო დუშეთის დაკავების შემდეგ — თბილისისთვის. ამავე არმიის ორი ბრიგადა უნდა დაესალოცო მამისონის უღელტეხილზე, დაეკავებინა ონი და შემდეგ რიონის ხეობით შეეცა ქუთაისისთვის. VIII ნიუთლი არმიას სოფის რაიონიდან უნდა დაეწყო შეტევა, დაეკავებინა აფხაზეთი და შემდეგ — ფოთი. როგორც ვხედავთ, საქართველოს დაპყრობისათვის რუსეთმა სერიოზულ ძალებს მოუყარა თავი. გარდა ამისა, რუსეთს შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებინა შავი ზღვის სამხედრო ფლოტი. ცხადია, ასეთ ძალებს საქართველოს არმია და სახალხო გვარდია ვერ გაუძლეავდებოდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების უმადლესმა მთავარსარდლობამ დაუშვა სერიოზული შეცდომები, თუმცა ეს შეცდომები არ გამხდარა 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში საქართველოს დამარცხების მიზეზი. მარცხი განაპირობა არა სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის შეცდომებმა, არამედ იმან, რომ საქართველო აღმოჩნდა პოლიტიკურ იზოლაციაში, იგი რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირის გარეშე დარჩა. ომის გაგრძელების შემთხვევაში რუსეთი საბრძოლო მოქმედებებში დამატებით ძალებს ჩააბამდა. ომის ყოველი დღე საქართველოს მოუტანდა ახალ მსხვერპლს, ომი კი მაინც მარცხით დასრულდებოდა.

— როდესაც დემოკრატები არმია თბილისში შემოვიდა, ნოე ჟორდანიას უკანდახევის გეგმას დათანხმდა. რატომ გაიქცა საქართველოს მამინდელი მთავრობა ბათუმ-

ში და რატომ მიატოვა თბილისი?

— 1921 წლის 24 თებერვლის საღამოსათვის შეიქმნა უაღრესად კრიტიკული მდგომარეობა. კოჯორთან და ტაბახმელასთან განცდილი მარცხის შემდეგ რუსებმა თბილისზე შეტევა წყნეთის მხრიდან განახორციელეს. რუსების პატრული გამოჩნდა ავჭალაში. მთლიანობაში აღებული თბილისის გარშემო ფრონტის ხაზი 60 კილომეტრამდე გაიჭიმა. ამოდენა ფრონტის დასაცავად საჭირო ძალები საქართველოს არ გააჩნდა. გარდა ამისა, თბილისისკენ მოინედა X არმია, VIII არმია სოხუმისა და ფოთის დასაცავებლად ემზადებოდა, ხოლო X არმიის ორი ბრიგადა ონიდან ქუთაისისაკენ მოემართებოდა. ასეთ ვითარებაში ოსმალეთის (თურქეთის) მთავრობამ საქართველოს მთავრობას ართვინსა და სხვა რაიონებში განლაგებული სამხედრო შენარჩუნების ევაკუაცია მოსთხოვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თურქეთი, უარის შემთხვევაში, ომს გამოუცხადებდა საქართველოს. თბილისში ზუსტად შეაფასეს შექმნილი ვითარება და დედაქალაქის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. საქართველოს მთავრობისთვის ცნობილი იყო, რომ რუსები აპირებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შეპყრობას, რათა ნოე ჟორდანიას აქტიურობისათვის დაეხმარებინათ, ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტზე. ამ შემთხვევაში საქართველოს რევკომის მიერ ძალაუფლების ხელში აღება ლეგიტიმაციის რალაც ნიშნებს შეიძენდა. უიმედო სამხედრო-სტრატეგიულ მდგომარეობასთან ერთად, სწორედ კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერის თავიდან აცილება გახდა იმისი მიზეზი, რომ მთავრობამ თბილისი 1921 წლის 24 თებერვალს გვიანდამით დატოვა ვანსრაფოდ დატოვა. რუსებმა მთავრობა სერც ქუთაისში და ვერც ბათუმში ვერ დააპატიმრეს. საქართველოს მთავრობას

რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობა არ უცვინია, კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოუწერია.

— რამდენად სწორი იყო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება — ემიგრაციაში გაეგრძელებინა მოღვაწეობა?

— ბათუმში გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელმაც დაამტკიცა მთავრობის ახალი შემადგენლობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, მთავრობას დაავალა ემიგრაციაში წასვლა და ბრძოლის გაგრძელება ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. საქართველოს მთავრობამ ბათუმში 1921 წლის 17 მარტს გვიანდამით დატოვა — ეს იყო უაღრესად სწორი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რჩებოდა ქვეყნის კანონიერ ხელისუფლებად, ხოლო საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და შემდგომში საბჭოთა საქართველოს მთავრობა — ხელისუფლების უზურპატორად.

— 1921 წლის თებერვალი — რას გვკარნახობს ეს ისტორიული პერიოდი? რა გამოცდილება შეიძინა ქართველმა ერმა რუსეთის მხრიდან ოკუპაციის განხორციელებით? რა შეცდომა დაუშვა საქართველოს მამინდელი მთავრობამ, პოლიტიკურმა სპექტრმა და ინტელექტუალურმა ნაწილმა?

— 1921 წლის თებერვალ-მარტის საქართველო-რუსეთის ომი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: 1. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე, ასეთი მოკავშირე 1918-1921 წლებში საქართველომ ვერ იპოვა. 2. დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მთელი ქართველი ერის მტკიცე ერთობა, ეს ერთობა კი 1921 წლისათვის დარღვეული იყო. 3. საქართველოს სჭირდება კარგად შეიარაღებული და განვრცოილი არმია, რომელიც მოკავშირეთა ქმედით დახმარებამდე მტერს არ მისცემს საშუალებას მოახდინოს ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია.

„ვინც აკონტროლებს წარსულს, ის აკონტროლებს დღევანდელ მოსახლეს“

ინტერვიუ რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩთან ზურაბ აბაშიძესთან

ენიმო კაკულია

— თქვენი აზრით, რა პარალელების გაგება შეიძლება 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული რუსული აგრესიის თანმიმდევრულ მოვლენებს შორის? ცვლის თუ არა რუსეთი თავის გეგმასა და ტაქტიკას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში?

— უპირველესად მინდა ვთქვა, რომ ჩვენს საზოგადოებაში იგრძნობა გაუცხოება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდისადმი. თითქოს, კარგად ვერც აღვიქვამთ ამ პერიოდის ისტორიულ მნიშვნელობას — თუ რაოდენ ფასეული და რაოდენ დიდი ეპოქა იყო ეს საქართველოს ისტორიაში. ეტყობა, ჩვენს ცნობიერებაში საბჭოთა პროპაგანდის შედეგად დაიღვრა ისეთი განცდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იყო ძალიან უნიათო, არაფრის გამკეთებელი. უხეშად რომ ვთქვათ, მან თითქოს ვერაფერი მოასწრო, ვერაფერი გააკეთა და მერე გაიქცა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. 2-3 წლის მანძილზე საკმაოდ ბევრს გაკეთებდა მოასწრო დამოუკიდებლობა საქართველომ. ჯერ ერთი, 1919 წელს ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებელი კრების დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც ამომრჩეველთა 77%-მა მიიღო მონაწილეობა. მოგეხსენებათ, ამ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვეს. სხვათა შორის, არც ერთ კომუნისტს (ბოლშევიკს) მასში მონაწილეობა არ მიუღია. ეს იყო ძალიან კარგად ჩატარებული, დემოკრატიული არჩევნები, რაც დიდი მიღწევა იყო. უკვე 1921 წელს კონსტიტუცია მიიღო ახალმა დამოუკიდებელმა საქართველომ და ესეც დიდი მიღწევა გახლდათ. მაშინდელმა მთავრობამ ძალიან ბევრი კარგი კანონი მიიღო სოციალურ სფეროში. ეს იყო სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული ხელისუფლება და მთელი აქცენტი სოციალური დაცვის მექანიზმებზე იყო გადატანილი. ამ მოკლე ხანში ჩატარდა მინის რეფორმაც — მინა გლეხებს დაურიგეს. კეთებოდა აქცენტი განათლებაზე... მაშინ უკვე პირველი ქართული უნივერსიტეტი დაარსებული იყო. სხვათა შორის, ბიუჯეტში განათლებასა და ჯანდაცვაზე უფრო მეტი თანხა იყო გამოყოფილი, ვიდრე ქვეყნის შიდა არაღებულსა და ჯარზე.

გარდა ამისა, ამ მოკლე პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობა უცხოურმა ქვეყნებმა აღიარეს. ამდენად, ჩემთვის გაუგებარია ნიჰილისტური დამოკიდებულება ამ პერიოდის მიმართ. ხშირად აგდებით ამბობენ, რომ მაშინდელი მთავრობის ნევრები, ბოლოს და ბოლოს, მარქსისტები იყვნენო. ეს არ არის სწორი მიდგომა. მარქსიზმი მაშინ მთელ მსოფლიოს მოედო, რაც, ასე ვთქვათ, რაღაც პროგრესულობის მაჩვენებელი იყო. მაგრამ ფაქტია, რომ ეს იყო დემოკრატიული რეჟიმი, დემოკრატიული ქვეყანა, რითაც ჩვენ უნდა ვიამაყოთ.



აგვისტოს ომი, 2008 წელი

— ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ მაშინდელმა მთავრობამ ვერ გამოიჩინა სათანადო ძალისხმევა იმისათვის, რომ გამკლავებოდა რუსეთის აგრესიას. ამბობენ იმასაც, რომ სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალიზმის იდეით აპურებდნენ ხალხს და ეროვნული ფასეულობებისგან შორს იდგნენ, რაც, თითქოსდა, კარგი ნიადაგი იყო რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციისთვის...

— დღეს ყველაფერზე საუბარი და კრიტიკა იოლია. რა თქმა უნდა, ისინი ინტერნაციონალისტები იყვნენ, მათში კოსმოპოლიტიური, მარქსისტული იდეოლოგია იყო გამჯდარი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ და დამოუკიდებელი ქვეყნის ბატონ-პატრონები გახდნენ, მათი სახელმწიფოებრივი ინტერესები და მიზნები შეიცვალა და ისინი უკვე სხვა მოტივებითა და სხვა ფასეულობებით ხელმძღვანელობდნენ. ისინი ბოლშევიკურ რუსეთში ყველაზე დიდ საფრთხეს ხედავდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აცნობიერებდნენ, რომ ბოლშევიკურ, აგრესიულ რუსეთთან რაღაც საერთო ენის გამოხატვა იყო საჭირო და 7 მაისს მოენერა კიდევ ხელი ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. თუმცა, ძალიან სწრაფადვე დაარღვია ეს ხელშეკრულება. რუსეთის აგენტურა და მეხუთე კოლონა საქართველოში უკვე აფუსფუსებული იყო. იმ აგრესიის გამკლავება, რაც რუსეთიდან მოდიოდა, შეუძლებელი გახლდათ, მით უფრო, რომ საქართველოს მაშინ ძლიერი მოკავშირეები დასავლეთში არ ჰყავდა. დღევანდელი სიტუაცია ამით განსხვავდება. დღეს ჩვენ ძლიერი მოკავშირეები გვყავს — ევროპისა და ამერიკის სახით და მაინც, როგორ გვეჭირს არა? მაშინ კი საქართველო ფაქტობრივად მარტო იყო.

— დღეს რამდენად აცნობიერებს აფხაზეთი და ოსეთი იმ საშიშროებას, რომ აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მხრიდან მათი დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა მათი ოკუპაცია ჩაიფიქრა.

— ამ საშიშროებას აფხაზეთში ნაწილი საზოგადოებისა ხედავს და აცნობიერებს. პირობითად, მოდით ასე ვთქვათ, რომ არის ორი ჯგუფი: ერთი, რომელიც თვითმყოფადობაზე ფიქრობს, ღელავს და უნდა ამის შენარჩუნება (მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში შემობრუნება უნდა) და არის მეორე ნაწილი, რომელიც არ არის წინააღმდეგი, თუ აფხაზეთი რუსეთის ნაწილი გახდება. ოსეთში სხვა მდგომარეობაა, იქ სამოქალაქო საზოგადოების ნიშნებიც კი არ არის და პოლიტიკურ კულტურასა და ორიენტაციასზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— თქვენი აზრით, საქართველოს გასაბჭოებამ რა დადებითი დასავა ჩვენს ქვეყანას, ქართველ ხალხს, მის ცნობიერებასა და მენტალიტეტს?

— ჯერ ერთი, ამან მოიტანა უდიდესი ფიზიკური მსხვერპლი. 1924 წელს 5000-მდე კაცი ამოწყვიტეს — ეს იყო ნაღები ქართული საზოგადოებისა, ანუ არისტოკრატია. 1922-1924 წლებში საქართველოში 1500 ეკლესია დაინგრა, სამღვდლოება ამოწყვიტეს, დაიჭირეს და ა.შ. სხვათა შორის ქართველი კომუნისტებიც კი აღიარებდნენ ქართველი ხალხის სიმტკიცეს. მაგალითად მოვიყვანო ფილიპე მახარაძის ცნობილი წერილი, რომელშიც იგი ცენტრალურ კომიტეტს წერს, რომ ჩვენ, ადგილობრივი ბოლშევიკები და ქართველი კომუნისტები ხალხს ვატყუებთ და ვეუბნებით, რომ საბჭოთა რუსეთი დამოუკიდებლობას არ ნავარაუდნებსო. ანუ, ქართველი ხალხი იმდენად ვერ ეგუებოდა დამოუკიდებლობის წართმევის იდეას, რომ გასაბჭოების შემდეგ



ნაწილად თავისი ნათესავებით, ოჯახებით — ეს ხომ დიდი უსამართლობა იყო.

მერე და მერე უარესი მოხდა. 20-იანი წლების მეორე ნახევარს არა უშავდა, როდესაც ლენინმა ნეპი (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) შემოიღო. ყოფილი თვალსაზრისით ქვეყანამ ამოისუნთქა და რეჟიმიც მეტ-ნაკლებად ლიბერალური გახდა, მაგრამ შემდეგ, 30-იან წლებში, რაც მოხდა, კარგად ვიცით. საქართველოს ახალმა სისხლიანმა ტალღამ გადაურა — გაცილებით უფრო ძლიერმა და დამანგრეველმა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, 20-იანი, 30-იანი წლები არის უმძიმესი წლები საქართველოს ისტორიაში. მაშინვე იმ (ირაკლი აბაშიძემ) ამ პერიოდზე ერთ-ერთ თავის ლექსში თქვა — კაენის ბორბალმა გადაურა საქართველოსო... ამბობენ რეპრესიების დროს 250 000 ადამიანი დაიღუპაო, ანუ თითქმის იმდენი, რამდენი ქართველიც მერეც მსოფლიო ომში.

უკვე 50-იანი წლების ბოლოს, კომპარტიის მე-20 ყრილობის შემდეგ, როდესაც ხრუშჩოვმა სტალინიდან ანაშაულებები ამხილა, დაიწყო კომუნისტური იდეოლოგიის ეროვნო-კარგად მახსოვს, 60-70-იან წლებში საქართველოში ცეკა რომ ცეკაა, იქაც კი ვერ ნახავდით ნამდვილ კომუნისტს. ამ იდეოლოგიის რეალურად აღიარების სფეროდა. ეს იყო ძალიან ცინიკური საზოგადოება, რომელიც ირონიულად უყურებდა ამ იდეოლოგიურ კლიშეებს...

— თქვენი აზრით, დღემდე რატომ ვერ განიცადა ტრანსფორმაცია რუსეთის იმპერიამ? წარსულში უდიდესი იმპერიებიდან უმეტესობა დღეს დემოკრატიული სახელმწიფოა, თუნდაც თურქეთი...

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჯერ 20 წელიც არ არის გასული.

თურქეთს, დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთსაც გაუჭირდა ტრანსფორმაცია. ესპანელებს დღემდე აქვთ ნოსტალგია კუბის მიმართ. მათ გამოხატულებები და ანდაზებიც კი აქვთ, სადაც კუბას — თავიანთ იმპერიას ისე იგონებენ, როგორც განსაკუთრებულ სამოთხეს. ასე რომ, რუსეთისთვის ჯერ ცოტა დროა გასული. გარდა ამისა, არის კიდევ სხვა ფაქტორები, გეოპოლიტიკური რეალიები, თუმცა იმპერიულ აზროვნებასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებაში, პოლიტიკურ ელიტაში, სპეცსამსახურებში ჯერ კიდევ ის თაობაა, რომელიც 20 წლის წინ იყო. პოლიტიკური თაობის ცვლა, რაც ჩვენთან მოხდა, იქ არ მოხდარა. ასე რომ, მათი მენტალიტეტი შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალი თაობა მოვა.

— საბჭოთა პერიოდში მეცნიერებას რა ბედი ეწია?

— საბჭოთა პერიოდში ძალიან განვითარდა მეცნიერება, კულტურა, სპორტი, ჯანდაცვა, ხალხი სოციალურად უფრო მეტად იყო დაცული, ვიდრე დღეს. ასე რომ, იმ სისტემასაც ჰქონდა თავისი პლუსები. საერთოდ, ნებისმიერ დიდ იმპერიას აქვს რაღაც დადებითი. მაგალითად, მონღოლების იმპერიასაც კი ჰქონდა პლუსები. მაგრამ საბჭოთა სისტემის მიწუსები აშკარად გადაწონის დადებითს. საბჭოთა წყობაში 30-იან წლებში განწყობა 20 მილიონამდე საკუთარი მოქალაქე — ეს არის საკუთარი მოსახლეობის გენოციდი. ასეთი რამ არც ერთ რეჟიმს არ გაუკეთებია, ფაშისტურ გერმანიასაც კი. და ამ სისასტიკის მიზანი კომუნისტური რეჟიმის გაბატონება და სტალინის ერთპიროვნული რეჟიმის გაძლიერება იყო.

— ქართველებს რამდენად ჰქონდათ დაკარგული შეფასების უნარი სტალინის ფენომენის მიმართ? მას ბევრი ეთავყვანებოდა...

— ეს იყო შიშზე დაფუძნებული სიყვარული.

ლი. რაღაც მომენტში თავის როლს ისიც თამაშობდა, რომ სტალინი ქართველი იყო და ამით თავი მოგვეკონდა.

— ყველაზე მეტად მეცნიერების რომელი დარგი იყო იდეოლოგიზირებული?

— ისტორია, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა... გახსოვთ, ალბათ, ორველის ცნობილი „1984“. ორველის გმირი ამბობს: „ვინც აკონტროლებს წარსულს, ის აკონტროლებს დღევანდელ მოსახლეს“ — ეს ორველის ფორმულაა. კომუნისტებს სჭირებოდათ წარსულის გაკონტროლება, რათა არსებული სიტუაცია ეკონტროლებინათ.

— და იმ პერიოდის საქართველოს რეალური ისტორია დღეს ვიცით?

— ისტორია, ხშირად, თანამედროვე გადასახედიან იწერება. დღეს ასე გამწვანებულად რუსეთზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ასეთ ცუდ დღეში ჩავგავდეთ. შეიძლება, დღეს კარგი ურთიერთობა რომ გვექონოდა რუსეთთან, ასე გამწვანებული არ გვეძებნა ისტორიაში უარყოფითი მომენტები — მას გვერდს უფრო ავუვლიდით, უფრო ტოლერანტულები ვიქნებოდით... დღეს კი ძალიან კრიტიკულად ვუდგებით წარსულსაც და ყველგან ვეძებთ უარყოფის, რადგან ყველა ნერვი გამიშვებულა, ქროლობა ღია... შეიძლება, ერთ მშვენიერ დროს, შეიცვალოს ურთიერთობები რუსეთთან და ისტორიაც ცოტა სხვანაირად დავინახოთ.

და კიდევ, ნათქვამია: ბოლოს და ბოლოს ისტორია ის არის, რაზეც ისტორიკოსები შეთანხმდებიანო. ასე რომ, ვერ გეტყვით — დღეს მაინც ვიცით კი ყველაფერი?

— თქვენი აზრით, რატომ ვერ კიდებს ფესს ილია ჭავჭავაძის იდეები საქართველოში იმდენად, რომ მისი მიმდევრები დომინანტ ძალად ჩამოყალიბდეს. ეს პრობლემა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას...

— რა ვიცი, ყველას კაბინეტში ილიას პორტრეტი უკიდია, ისევე, როგორც ყველას უკიდია ხატი, ჯვარი... რატომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა ვერ იკადებს მასიურად ფესს ჩვენს საზოგადოებაში? საიდან არის ამდენი ყაჩაღობა, ქურდობა, ამდენი ამპარტავნობა, ამდენი დაუნდობლობა, სიძულვილი?!

— ბოლო პერიოდში საპატრიარქომ მოახერხა მრევლის გაზრდა...

— საპატრიარქომ უდიდესი საქმე გააკეთა... მაგრამ ჩვენ მაინც თვითკრიტიკა გვაკლია. ხშირად მექანიკურად ვაღიარებთ რაღაც ფასეულობებს, მაგრამ გულამდებ ეს ფასეულობები არ აღწევს. ქრისტიანობის თემაც იმდენად ვასხენ, რომ სანდახან მეჩვენება, რომ ჩვენ მექანიკურად ვლოცულობთ, პირჯვარს კი ვინერთ, მაგრამ გულში არ გვგვებდება „ქრისტიანობის მთავარი პოსტულატები... ეს არის სიყვარული, ერთმანეთის სიყვარული უპირველეს ყოვლისა. მოყვარე ვერ შეგვიყვარებია და მტერს შევიყვარებთ? გიყვარდეს მტერი შენო, — ამას გვეუბნება მაცხოვარი.

— როგორც რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩს რა გამოცდილება გაქვთ რუსეთთან ურთიერთობისა — აქვს აზრი რუსეთთან დიალოგის?

— დიალოგი აუცილებელია — მე ყოველთვის ამას ვამბობდი. ამას ვეუბნებოდი ყველას, ვინც გაიძახოდა — რუსეთთან ლაპარაკს აზრი არ აქვს, მაგათ გინდ ელაპარაკე და გინდ არა, შედეგი ერთი იქნებაო. ამას არ ვიზიარებდი და არც ახლა ვიზიარებ. დიალოგი ყოველთვის საჭიროა.

მართალია, ახლა გართულებულია დიალოგის დანყება, რადგან ოკუპირებულია ქვეყნის ნაწილი, განხორციელდა სამხედრო აგრესია და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა შეწყვეტილია, მაგრამ საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო მხარდაჭერის მოშველიებით უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მშვიდობიანი გზით ვაიშოვოთ რუსეთი — უკან დაიხიოს. ჩვენ გვყავს მხარდამჭერები, ჩვენი პარტნიორები დასავლეთის ქვეყნების სახით. ამერიკაში ახალ ადმინისტრაციას, ალბათ, ახალი ხედვები აქვს და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამ დიდ სამზარეულოში რაღაც დიდი მოხარებაა.

— გასაბჭოების დღის აღნიშვნა რაზე მიგვიითობს — რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩვენი წარსული ისტორიიდან?

— მაქსიმალურად ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა იგივე არ განმეორება და არ დაკარგოთ დამოუკიდებლობა. უპირველეს ყოვლისა ერთმანეთს უნდა გავუფრთხილებთ, არ ვამბობ, რომ კრიტიკას უნდა შევქვათ — ვაკრიტიკოთ ერთმანეთი, მაგრამ დანდობით, პატივისცემით და ყოველთვის იმაზე ფიქრით, რომ ერთმანეთის ჯიჯგნას ქვეყანა არ გადავყოლოთ, რადგან გაცილებით მეტის დაკარგვა შეიძლება, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგინა.

რატომ მიიწია რუსეთს აბრეხილი მოქმედების თავისუფლება?

მსოფლიოს რეაქცია: 1921 წლის თებერვალი – 2008 წლის აგვისტო

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ანექსია 1921 წელს მსოფლიოს ყურადღების მიღმა დარჩა. პატარა ქვეყანა, რომლის ბედით მაშინ არავინ დაინტერესდა, თითქმის საუკუნეა რუსეთთან არათანაბარ ბრძოლაშია ჩართული და უკანასკნელ ხანს მან ძლივს მოახერხა მსოფლიო საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რა ძალასთან აქვს საქმე და რა მეთოდებით ცდილობს რუსეთი ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ სივრცეზე გავლენის მოპოვებას.

1921 წლის ანექსიასა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს შორის ისტორიული და პოლიტიკური პარალელების ძიებამ საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა: ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მაშინაც ჩიხში იყო შესული და დღესაც იგივე მდგომარეობაშია, თუმცა სხვაობა მაინც არის — დღეს რუსეთი იძულებულია, გარკვეულწილად, ანგარიში გაუწიოს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს.

რატომ მიიწია რუსეთს მოქმედების თავისუფლება 1921 წელს? ჰქონდა თუ არა დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელ მთავრობას რაიმე ბერკეტი ანექსიის თავიდან ასაცილებლად? რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვს საქართველოს მიმართ რუსეთის მაშინდელ და დღევანდელ აგრესიას? შეეძლო თუ არა ევროპას საქართველოს დახმარება? ამ კითხვებზე გვაპასუხოვნენ ექსპერტები, რომელთა მსჯელობაში საგულისხმო დეტალი გამოიკვეთა — რუსეთის პოლიტიკური მიზნები საქართველოსთან მიმართებაში დღესაც იგივეა, რაც საუკუნის წინ იყო.

აია ტორაძე

გაშინ ერთა ლიგაში პირ
განეწინაება ისევე
იმოქმედა საქართველოს
მდგომარეობაზე, რომორც
მაპ-ის მიუღებლობა
2008 წლის ბუქარესტის
სამიტზე



დამიბრძოლი შვილიძე, თსუ-ის პუბლიცისტი, საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება 1921 წლის საქართველოსა და დღევანდელ საქართველოსთან ჰგავს კიდევ ერთმანეთს და განსხვავებაც დიდია.

საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება 1921 წლის საქართველოსა და დღევანდელ საქართველოსთან ჰგავს კიდევ ერთმანეთს და განსხვავებაც დიდია.

არსებობს მოსაზრება, თითქმის მაშინაც და დღესაც ევროპამ ზურგი შეგვაქცია. მოდით, დავსვათ თითხვა: შეეძლოთ მათ ჩვენი დახმარება თუ არა? დავიწყეთ იმით, რომ ევროპას ჩვენთვის ზურგი არ შეუქცევია. ის რუსეთის მონარქიის აღდგენას და საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ცდილობდა, რისთვისაც თეთრგვარდიელებს ფინანსურად დაეხმარა კიდევ. მაშინ ევროპამ ინტერვენცია თავადაც განახორციელა — იაპონელები ვლადივოსტოკში შევიდნენ, ინგლისელები — შუა აზიასა და კავკასიაში (ბათუმში რამდენიმე ათასკაციანი კორპუსი იდგა), ფრანგები და ჩეხები — შუა აზიასა და რუსეთის სხვადასხვა ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებული და ემბარგოდნენ იმ საქმეს, რაც ჩვენთვისაც ხელშემწყობი იყო, მაგრამ ისინი დამარცხდნენ — ჩაუცემელმა და გალატაკებულმა რუსეთმა, რომლის ბრძოლები მხოლოდ ხალხის ენთუზიაზმზე იყო დამყარებული, სამოქალაქო ომში გამარჯვება შეძლო და ამ ომიდან საკმაოდ გაძლიერებული გამოვიდა. ამიტომ, 1920 წელს, ჩვენი ყველა ცდა, რომ ევროპა რუსეთთან ომში დაგვხმარებოდა, მარცხით დამთავრდა.

1921 წლის 29 იანვარს ლონდონში შედგა მთავრობის სხდომა და ბრიტანეთის კაბინეტმა ოფიციალურად უარყო საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის დახმარების განცხადებას. მან ხელი აიღო ამიერკავკასიასა და შუა აზიაზე და ამით ერთგვარი კარტლანში მისცა რუსეთს. არა იმიტომ, რომ დიდი ხალხით დათმო ეს რეგიონი, არამედ იძულებული გახდა, რომ დაეთმო საბჭოთა რუსეთისათვის. ინგლისი ცნობილია თავისი ბრძანებით, რომელიც რუსეთს და რადგან ომში დამარცხდა, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების დადებით შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას. ამით საქართველო და ამიერკავკასია ხელმეორედ განწირული აღმოჩნდა. ჟორჯიანის მთავრობამ მოახერხა, რომ ევროპას თავის დროზე საქართველოს დამოუკიდებლობა და რომელიც უარი გვირგვინდა, ხოლო შემდეგ დე-იურედ ეცნო და ეს დიდი მიღწევა იყო...

მარეობის გამოსწორებას. ამით საქართველო და ამიერკავკასია ხელმეორედ განწირული აღმოჩნდა. ჟორჯიანის მთავრობამ მოახერხა, რომ ევროპას თავის დროზე საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ დე-ფაქტოდ, ხოლო შემდეგ დე-იურედ ეცნო და ეს დიდი მიღწევა იყო...

რაც შეეხება საერთაშორისო აზრს — ამ აზრის გამართლებელი ორგანიზაციის შექმნა სწორედ იმ პერიოდში დაიწყო. ეს იყო ერთა ლიგა, რომელიც გაეროს წინაპარი ორგანიზაციაა და რომელმაც უარი გვითხრა განცხადებაზე. ეს მოხდა 1920 წლის დეკემბრის ბოლოს. ერთა ლიგას, დღევანდელი ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების მსგავსად, წესდებოდა ჰქონდა მუხლი, სადაც ენერა, რომ მის ერთ-ერთ წევრზე თავდასხმის შემთხვევაში დაჩაგრული ქვეყნისთვის ერთა ლიგის სხვა წევრებს მხარი უნდა დაეჭირათ. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობდა აუცილებელ საბუნდოო ჩარევას, მაგრამ გულისხმობდა პასუხისმგებლობას. ამიტომ ინგლისმა, რომელიც მაშინ მსოფლიო ლიდერი გახლდათ, ყველაფერი გააკეთა, რომ ლიგის წევრ ქვეყნებს უარყოფითად გადაეწყვიტათ საქართველოს ერთა ლიგაში განცხადების მცდელობა. რით ასაბუთებდა ის ამ გადაწყვეტილებას? — ცხადია, პირდაპირ ვერ იტყოდა, რუსეთის მეშინა ან მასთან ომი არ მიწინააღმდეგებდა. ასეთი რამ დიპლომატიაში არ ხდება. დიპლომატიაში ისე ლამაზად შეამკობენ ამ უარს, რომ იძულებული ხარ, დაიჯერო. ან კიდევ მოსატყუებელ ფორმულას შექმნიან. სწორედ ასეთი ფორმულა შექმნეს მაშინ, რომელშიც ჩანდრეხ, რომ საქართველოს მიღება არ შეიძლებოდა, რადგან ის ევროპაში არ შედიოდა, ერთა ლიგას კი პასუხისმგებლობა ევროპაზე ჰქონდა აღებული. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაშინ პოლონელებმა და ნორვეგიელებმა ძალიან გამოიძვინათ თავი. ჩვენი ქვეყნისთვის თავმჯდომარე გახლდათ სახელგანთქმული ნორვეგიელი მოგზაური და მეცნიერი ფრიტიოვ ნანსენი, რომელმაც იმ სხდომაზე საკმაოდ აქტიურად დაგვიჭირა მხარი, მაგრამ მის ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია.

ერთა ლიგაში ვერ განცხადებდნენ, შორეული შედარება რომ გავაკეთოთ, დაახლოებით ისეთივე როლი შეასრულა მაშინდელი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში, როგორც მაპ-ის მიუღებლობამ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ 1918-1921 წლებში ის ხან სუსტად იყო და ხან ძლიერდებოდა, საქართველოზე ხელი არასოდეს აუღია. მაშინდელი მათი ლიდერები — დანაშაული ლენინიდან დამთავრებული ტროცკით, აცხადებდნენ — საქართველოში ბატონობენ ინგლისელი იმპერიალისტები, ჩვენ ამას არ დავუშვებთ, საქართველო არის ჩვენი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა — რუსეთის ტერიტორია და ამიტომ იქ უნდა დამყარდეს საბჭოთა ხელისუფლება. საბოლოოდ, ისინი მუშათა და გლეხთა განთავისუფლების დროითი შემოვიდნენ საქართველოში.

თუ დღევანდელ მოვლენებთან პარალელს გავავლებთ, რუსეთს ახლა ასეთი განმათავისუფლებელი ლოზუნგი აღარ გააჩნია. მაშინ იდგა ისეთი იყო, რომ მოსახლეობის ნაწილის მოტყუება შეიძლებოდა, დღეს ეს იდეა აღარ არსებობს და დღევანდელი რუსეთი დიპლომატიურად ვერ ალამაზებს თავის დამყარობაზე მიზანს. ამიტომ გამოიგონეს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდი და გასული წლის აგვისტოში მათი დაცვის საბაბით შემოვიდნენ საქართველოში.

ზოგადად, ყველა სამხედრო ინტერვენციის მიზანი, საბოლოოდ, ეკონომიკამდე დადის. მაშინაც და ახლაც ბაქოს ნავთობი დიდ როლს ასრულებდა რუსეთის საბოლოო მიზნებში, მაგრამ კიდევ არის ორი მიზეზი, რის გამოც კავკასია და საქართველო რუსეთის მუდმივი ინტერესის არეალშია მოქცეული: პირველი — ესაა შიში, რომ ევროპა (ან ამერიკა) რუსეთს სამხრეთიდან საფრთხეს შეუქმნის და მეორე — კავკასიის ხელში ჩაგდება იმისი პლაცდარმს ქმნიან ახლო აღმოსავლეთზე გავლენის მოსაპოვებლად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ ლენინს შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა სპარსეთის მიმართაც. არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც 1921 წლის 12 თებერვალს, როცა ყოველ წუთს ელოდებოდა ცნობებს კავკასიიდან, ლენინმა საფრანგეთის მთავრობის წარგზავნილი სოციალისტი, ვინმე გილბო მიიღო და მასთან საუბრის დროს ფურცელზე სამი ჩანაწერი გააკეთა: «გილბო», «საქართველო და სომხეთი» და «სპარსეთი»... ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა ამ ქვეყნის მიმართ და უარს არ იტყოდა — თუ იქაც მოაწყობდა რევოლუციას. ეს კი მაშინდელი დასავლეთის კიდევ უფრო შევიწროებას ნიშნავდა აღმოსავლეთში.

მადლობა ღმერთს, რომ იმ უამრავი მსგავსების გარდა, რაც 1921 წლისა და დღევანდელი საქართველოს მოვლენებს შორის არსებობს, არის განსხვავებებაც. დღეს უკანასკნელი 500-600 წლის მანძილზე პირველად ვდგავართ იმ რეალობასთან, როცა საქართველოს მოკავშირედ დასავლეთი გვეკვლიება. ეს ადრე თუ გვიან სასურველ შედეგს გამოიღებს.

გაშინ საბჭოთა რუსეთის მისცეს საქართველოს ანექსიის საშუალება



ალექსანდრე რონდელი, თსუ-ის სოციოლოგი და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი:

1921 წლის საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობასა და დღევანდელ მდგომარეობას შორის მსგავსება არის, მაგრამ ამავე დროს განსხვავებაც ძალიან დიდია, რადგან ეს ორი ისტორიულად სხვადასხვა ეპოქაა. მაშინ საბჭოთა რუსეთს მისცეს საქართველოს ანექსიის საშუალება. თავდაპირველად მან პოზიციები მოსინჯა ევროპაში, სადაც ომის შემდგომი კრიზისი იყო და მოხდა ბინძური გარიგება — თუ იგი კავკასიის დაიმორჩილებდა, პრობლემა არ შეექმნებოდა.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს სიტუაცია სხვაგვარი იყო და მსოფლიოს რეაქციაც, გასაგებია, რომ ჩვენ გვინდა — საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში მუდმივად იყოს, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ ევროპა ძალზე სწრაფად გამოეხმაურა საქართველოს მიმართ რუსეთის შეიარაღებულ აგრესიას. ბევრი დაინერა იმის შესახებ, თითქმის დასავლეთის რეაქცია შენელებული იყო, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთი კიდევ ერთხელ მიხვდა, ვისთან აქვს საქმე. რუსეთის ქმედების პოლიტიკური ფასი საკმაოდ მაღალია და ამას ის ნელ-ნელა იგრძობს.

ამ ორი მოვლენის შედარება შეიძლება კიდევ იმ კუთხით, რომ ორივე შემთხვევაში ნავთობს და გეოპოლიტიკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვაობა ისაა, რომ მაშინ ბუნებრივი აირი არ იყო მსოფლიოს ამ ნაწილში. დღეს ეს კომპონენტიც დაემატა, რამაც ამ კონფლიქტში ენერგეტიკის ფაქტორი კიდევ უფრო გააძლიერა. რუსეთს XX საუკუნე

ნის დასაწყისში გეოპოლიტიკური კონცეფცია არ ჰქონდა, მაგრამ მან ძალიან კარგად იცოდა კავკასიის ფასი. მაშინ მან ნეექსიის გზით დაიბრუნა აზერბაიჯანიც, სომხეთიც და საქართველოც, რაც ყველაზე კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ რამხელა ყურადღებას უთმობდა ამ რეგიონს. რუსეთი დღესაც ცდილობს, რამენაირად შერჩეს კავკასიას. მან მოახერხა, რომ სომხეთი მისი გავლენის ქვეშ დარჩენილიყო, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. მას, ასევე, უნდა აზერბაიჯანის გაკონტროლებაც, მაგრამ არ ჩქარობს, რადგან მისი წარმატება კავკასიაში ყველაზე მეტად საქართველოზე დამოკიდებულია. თუ რუსეთი საქართველოს გააკონტროლებს, ავტომატურად გააკონტროლებს აზერბაიჯანს და მისგან დასავლეთისკენ გამავალ გზასაც.

ამ პარალელებით იმის თქმა მინდა, რომ რუსეთის მიზნები საქართველოს მიმართ არ იცვლება. უბრალოდ, 1921 წელს მას მეტად ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. მაშინ დასავლეთისთვის კავკასია შორეული, უმნიშვნელო რეგიონი იყო. ბაქოს ნავთობის მიმართ ამერიკას და ევროპას, თუ ბრიტანეთს არ ჩავთვლით, დიდი ინტერესი არ ჰქონდა. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რა პერიოდია ეს.

მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში წარმოიშვა აზრი, რომ ტრაგედია, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინარა, არ უნდა განმეორებულიყო. 10 მილიონი ადამიანი შეენირა ამ ომს — დაიღუპა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ბრიტანეთიდან. პაციფიზმი მსოფლიოს მოეფი. ომი არავის აღარ უნდოდა. ამავე დროს მსოფლიო საზოგადოება ომისშემდგომი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში იმყოფებოდა და ყველა სახელმწიფო ცდილობდა, თავისი თავისთვის მიეხედა. კავკასიის საკითხი შეიძლება ვინმეს ანუხებდა, მაგრამ იმდენად არა, რომ რუსეთს შეენიანაღმდეგებოდა. ამიტომ რუსებმა ადვილად მიიღეს მოქმედების თავისუფლება.

მაშინდელი ბოლშევიკური რუსეთი ძლიერი არა, მაგრამ ძალიან აგრესიული იყო. დღეს ვითარება შეიცვალა — რუსეთი ისეთი ძალა აღარ არის და მის მიმართ ილუზიები აღარაღივს აქვს. მიუხედავად ამისა, რუსეთის დაშლა არავის ინტერესებში არ შედის, რადგან უზარმაზარი რაოდენობის ატომურ, ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს ფლობს და მასზე კონტროლს ვინ მოიპოვებს, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ რუსეთის ვიზიონში, რომ მისი დაშლა სურთ, სისულელეა. ევროპისა და ამერიკის მიზანი რუსეთის დასუსტება და დაშლა რომ ყოფილიყო, 90-იან წლებში ამ მიზნის მიღწევა ადვილი იქნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა — დაეხმარნენ, ფეხზე დააყენეს და როგორც კი გაძლიერდა, ყველა დაიწყო.

სულ ცოტა ხნის წინ მიუხედავად ძალიან დელიკატურად და მეგობრული ტონით შესთავაზეს რუსეთს თანამშრომლობა და ეს კარგია — ამერიკაში ახალი ადმინისტრაციაა და თუ თანამშრომლობა შედგება, რუსეთი მეტად მოქცევა კონტროლის ქვეშ. თუმცა აქ არის მეორე კონტრინტი — პუტინი, რომელიც ძლიერ ლიდერად გამოიყურებოდა, დღეს უკვე «გამოსვლებული მეფეა». მისი ქვეყანა მხოლოდ ნავთობიდან შემოსავალზე დამოკიდებულია, ამიტომ მას, შეიძლება, სულმა ნასძლიოს და თავისი უსუსურობა კიდევ ერთ პატარა ომში გამოეხატოს. არ მინდა ამით ვინმეს ცუდი განწყობა შეუქმნა, მაგრამ თეორიულად ეს დასაშვებია.

სრული სურათისთვის შევადაროთ XX საუკუნის 20-იანი წლებისა და დღევანდელი საერთაშორისო სამართალიც. რა თქმა უნდა, სურათი განსხვავებულია. მაშინ საერთაშორისო სამართალი თითქმის არ მუშაობდა. ჯერ კიდევ ემბრიონულ მდგომარეობაში იყო ერთა ლიგა და ჩვენ მისი წევრებიც არ ვიყავით. დღეს კი ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციაა. არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ომი მაინც ევროპამ დაჩაჩქრა, ევროპამ, რომელიც დამოკიდებულია რუსეთზე და მის ენერგორესურსებზე. სხვათაშორის, ისინი არც ისეთი მეგობრები არიან რუსეთის, უბრალოდ ძალიან სჭირდებათ და ცდილობენ მეგობრული და დიპლომატიური ტონი შეინარჩუნონ. საერთოდ, პოლიტიკაში ყველაფერი ინტერესის საკითხია და, ამ შემთხვევაშიც, ევროპის ინტერესმა გადასწრაფა. ერთბაშად არა, მაგრამ რუსეთი საქართველოსთვის პოლიტიკურად დიდი საფასურს გადაიხდის.

მე-5 გვირგვინი

„მას ეშინიან — პატარა წმიდა სანთელივით სხვის ხატს არ შეადნეს“

მე-5 გვერდიდან

აი, რას ატყობინებს გერმანიის მთავრობას მისი წარმომადგენელი საქართველოში, სამხედრო სამინისტროს მრჩეველი: „პრემიერ-მინისტრის სახალხო გვარდია პირადად თავისი და რეჟიმის დამცველ ძალებს მიაჩნია, ხოლო ჯარის მონაცობა არ ხერხდება“.

გენერალ ფონ კრესს კი ასეთი დეპუტატი გაუგზავნია ბერლინი: „სანამ ქართველთა ჯარის შექმნა არ მოხერხდება, მანამდე გერმანიამ საქართველო არ უნდა ცნოს“. სოციალ-დემოკრატთა ამ მოქმედებაში გაზეთი „საქართველოც“ არაერთგვაროვნებას ხედავდა.

„სამწუხაროდ დამტკიცდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო უფლებრივ საკითხთა გადაწყვეტაში სარგებლობს ყოველი საზომით, გარდა ეროვნულისა“ (1918 წ.).

არადა ნოე ჟორდანიას აფრთხილებდნენ — თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დაცვა უნდაო.

აი, საოცარი და გამაოგნებელი სიტყვები სამსონ ფირცხალავასი, რომელიც 1918 წელს დაიბეჭდა: „გათავისუფლებული და აღდგენილი ქართველი ერის არსებობა წარმოუდგენელია გარეშე დამოუკიდებელ საქართველოში და მისი მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდებაა, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა“.

როგორ შეაკავებდა ზემოხსენებული გვარდია საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიას? ამიტომ გაგზავნეს ფრონტზე პირტიტეველი იუნკრები, სამხედრო სასწავლებლის კურს-დამთავრებულები, მოხალისეები...

რუსეთის დამარცხებას მაინც ვერ შევძლებდით! — „გვანუგემებენ“ ზოგიერთნი.

ვიცი, ძალზე ძნელი იყო რუსეთის არმიების დამარცხება, მაგრამ ასე რომ ეფიქრა ქართველს, დღემდე ვერ მოვალწევდით.

არის სიმართლის ნაწილი პარიზელი ემიგრანტის, „ივერიის“ რედაქტორის მიხეილ ქავთარაძის მიერ 1969 წელს, აჯანყების 45-ე წლისთავზე ლევილი წარმოქმნილი სიტყვა-ში: „ყოველ ეჭვს გარეშეა, 1921 წლის მეომ-

რებს რომ აგვისტოელთა (იგულისხმება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილენი) სული სდგომოდა, რამდენიმე ათასი ფეხმძიველი რუსი ქართულ სახელმწიფოს ვერ წააქცევდა“.

უდავოა, რომ გარეშე ძალების სივერაგესთან ერთად შინაური ბედოვლაობაც უშლიდა ხელს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეს და ამ ორი მოვლენის განცალკავებულად განხილვა შეუძლებელია.

რუსეთის როგორც ადრე, ახლაც სჭირს გაუმძღვრობა — რაც შეიძლება მეტი მიწების, თანაც თბილისი სამხრეთის მიწების და ზღვების დაპყრობა უნდა. მას სწორედ მინა, ტერიტორია აინტერესებდა და აინტერესებს, მისი გეგმის მიხედვით კი იქ მცხოვრებნი აუცილებლად უნდა გარუსებულყვნენ. ამიტომ იგი მუდამ გვისპობდა ქართველებს ყველაფერ ღირებულს.

ამ გეგმის შეცვლას არც ახლა აპირებს. მაგრამ გაუმძღვარი დამპყრობელი იმას არ ფიქრობს, რომ დაპყრობილ უზარმაზარ ტერიტორიებს და ხალხებს მონელება უნდა.

თქვენთვის ცნობილია ჩვენი დედაუნივერსიტეტის, ჩემი უნივერსიტეტის როლი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „როგორც ვხედავთ, ქართველთა უმეტესობა მზად იყო დამოუკიდებლობის დასაცავად, მაგრამ ფუჭად ჩაივლის ეს მზაობა, ხალხის წინამძღოლებს ეროვნული სული თუ არ უდგას“.

გავიხსენებ საუკეთესო ქართველის, ლევან მეტრეველის 1919 წელს წარმოქმნილ საოცარ სიტყვებსაც, რომლითაც აფრთხილებდა სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას: „დღეს შეშფოთებულია საქართველოს სული. რას მოასწავებს? ნუთუ საქართველოს ბედი განსაცდელშია? მსოფლიო ძალთა შეჯახებაში საქართველოს არ ეშინია ღირსეული წვლილი დაიდოს. მხოლოდ მას ეშინიან — პატარა წმიდა სანთელივით სხვის ხატს არ შეადნეს“.


განა დღეს არ გვეშინია, რომ სხვის ხატს არ შეადნით ქართული სული?!



იუნკრები

ერის განადგურება მხოლოდ კულტურული ელიტის მოსპობით არის შესაძლებელი

ბოლშევიკური მმართველობის ტერორი საქართველოში 1921 წელს ქვეყნის დაპყრობისთანავე დაიწყო. თავისუფალმა მსოფლიომ საქართველოს მხარდაჭერა მაშინაც გამოუცხადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო კონკრეტული ქმედითი ზომების გატარება ბოლშევიკების წინააღმდეგ. ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა და საცხოვრებლად ევროპაში გადავიდა. როგორ აფასებდა არსებულ ვითარებას და რა გზებს ეძებდა ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ამის შესახებ თავის მოსაზრებას გვიზიარებს თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გიბა პულაძე.



ქართველ ადამიანს ერთი — ყველასგან გამორჩეული თვისება აქვს, რასაც მე თვითგადარჩენის ინსტიქტს ვუწოდებ. ქართული საზოგადოება ამ ინსტიქტით მოქმედებდა 1921 წელს და დღესაც. თუმცა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, იმდროინდელი საზოგადოების რეაქცია უფრო ადეკვატური იყო, ვიდრე აგვისტოს ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის თებერვალში საერთაშორისო მხარდაჭერა პრაქტიკულად არ არსებობდა, საზოგადოების თვითგადარჩენის მცდელობის ხარისხი გაცილებით მაღალი იყო. საქართველო ჩინი ჯერ კიდევ 1801 წელს მოექცა, როდესაც „ერთმორწმუნე“ რუსეთმა ერის განადგურების განსაკუთრებული გეგმა შეიმუშავა და ძირითადი დარტყმა ენას და ეკლესიას მიაყენა. თავისი ბარბაროსული ქმედება ფრესკების შეთეთრებით დაიწყო. კრიზისიდან გამოსვლის გზებს ინტელიგენცია ყოველთვის ეძებდა. ეს ბუნე-

ბრვია, რადგან ერთადერთი, რაც ჩვენ რეალურად გავაჩნია, ქართული კულტურაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა. კიდევ ერთ თვისებაზე გავამახვილებ ყურადღებას — ეს შინაგანი სიმართლის განცდაა, რომელიც განსაკუთრებით კარგად ხელოვნებაში ჩანს.

1921 წელს ცნობილმა ქართველმა მხატვარმა დავით კაკაბაძემ, რომელიც საუკეთესო გაგებით ევროპული ცნობიერების ხელოვანი იყო, შექმნა ერთ-ერთი ტილო „ზუიმი მთაში“. ამ ნახატს საინტერესო ისტორია აქვს: ერთი შეხედვით მხატვარი თავის ნამუშევარში „საბჭოთა სინამდვილეს“ ასახავს, რომელსაც სრულიად არ იზიარებდა, მაგრამ იძულებული იყო ხელისუფლების შეკვეთა შეესრულებინა. დავით კაკაბაძემ იმერეთის ულანავებით და უსაზღვრო სივრცით. ნახატის წინა პლანზე გამოსახულია გლეხები, რომლებსაც ხელში ტრანსფორანტები უჭირავთ ლენინის, სტალინისა და ბერიას გამოსახულებით. გავიდა დრო... ნახატიდან ვერ სტალინი გაქრა, შემდეგ ბერია... სხვათა შორის, ლენინი ჯერ კიდევ შემორჩა, მაგრამ ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რომ არასოდეს ნაიბუღებია ის სივრცე, რომელიც მარადისობას გამოხატავს. ამ პროცესს „ორმაგი კოდირების“ პროცესი ვუწოდებ.

ამავე პრინციპით ხატავდა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, წარმოშობით გერმანელი გრაფიკოსი ოსკარ შმერლინგი. იმ პერიოდში მან დახატა ქართული პეიზაჟი, რომელიც ალაზნის ველს ნაგავს. ნახატის წინა პლანზე არიან ნოთელარმიელები, რომლებსაც პიონერები ყვავილებს უძღვნიან. აქ საინტერესოა ერთი დეტალი, რომელიც მაშინდელმა ცენზურამ ვერ ნაიკითხა. ნოთელარმიელების წინ დიდი შვიდი ბატია გამოსახული...

დღეს ასე იკითხება მათი ნაზრევი და მეც ისევე ვაზროვნებ, როგორც ისინი... ასე შეიქმნა ჩემი ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელ-

საც „ტყვეობა თავისუფლებაში“ და „ტყვეობა მონობაში“ დავარქვე.

ქართველი ადამიანი გადარჩენის გზებს მაშინაც ეძებდა და ეძებს დღესაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენ არა გვაქვს ე.წ. იატაკქვეშა ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების სფეროში პრობლემები იყო, საბოლოოდ, ის მაინც ნახულობდა დღის სინათლეს. ხელოვანი ყველა სიტუაციაში ახერხებდა სიმართლის თქმას, ალბათ იმიტომ, რომ აზრის გადმოსაცემად ალგორითულ ენას იყენებდა. გულისტკივლით მინდა აღვნიშნო, რომ ეს პრობლემა თანამედროვე ხელოვნებას უფრო აქვს.

— თუმცა, ფსევდოელიტა მაშინაც არსებობდა და დღესაც არსებობს. როგორი იყო მათი ქმედება მაშინ და როგორ იქცევიათ დღეს?

— 1921 წელს ერთა ლიგამ აბსოლუტური პასიურობა გამოიჩინა. რას აკეთებდნენ მაშინ „ჩვენი“ ბოლშევიკები? ერთ-ერთმა ცნობილმა ბოლშევიკმა, რომლის ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ (რადგან მისი შთაბეჭდილება დღესაც ცოცხალია და პოლიტიკაში აქტიურად მოღვაწეობს), მოითხოვა 500 ადამიანის ნაცვლად 3000 დაესაჯათ. დამეთანხმებით, ეს ერის კულტურული ელიტის სრულიად განადგურებას ნიშნავდა. საგულისხმოა, რომ შემდგომში მოვლენები ისე წარიმართა, რომ ეს პიროვნება თავად მოჰყვა ამ სამართალს კაცში.

ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი ე.წ. დღევანდელი „ელიტის“ მიმართაც, აგრეთვე იმ იაფფასიანი ლონისძიებების მიმართ, რომელიც ქვეყანაში იმართება. თბილისი „ჯიპების სოფლის“ გადაიქცა, რომელშიც თავგები სხედან და თავიანთ ნამდვილ სახეს მალავენ. მცირერიცხოვანი ერის პრობლემა ის არის, რომ მისი მოსპობა მხოლოდ კულტურული ელიტის მოსპობით არის შესაძლებელი. ეს ყველა დამპყრობელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და მათი პოლიტიკაც აქტიურად იყო მიმართული.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ იმდროინდელი საზოგადოება უფრო ადეკვატური იყო მოვლენების შეფასებისას და ქმედებისას, ვიდრე 2008 წლის აგვისტოს ამის დროს. რას გულისხმობთ?

— შეიძლება ზედმეტად კრიტიკული ვარ ამ მოვლენების შეფასებისას. სიმართლე გითხრათ, დღეს უფრო მეტ მობილიზაციასა

და კოორდინირებას მოველოდი ქართველი ერისგან.

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ჩემი აზრი, გეტყვით, რომ ჩვენ ევროპასთან ინტეგრირებულები კი არა, პირიქით, ზედმეტად გარუსებულები ვართ. უფრო სწორედ, დამარცხების კომპლექსით ვართ შეპყრობილი. ვერა და ვერ მოვიმორთე „პატარა ძმის“ კომპლექსი. ჩვენ რომ ევროპიზირებულები ვიყოთ, ყოფით კულტურაზე მაინც ვიფიქრებდით, როგორც ეს მოახერხეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და ნიდერლანდებმა, რომლებმაც, ამ მხრივ, გერმანიაც კი დაჯაბნეს.

არავინ თქვას, რომ სამშობლო სადარბაზოდან და ქუჩიდან არ იწყება. აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს სამოქალაქო გემოვნება და ეთიკა. სამშობლო — მასზე ყოველდღიური ზრუნვით იწყება და არა იმ სისულელეებით, რომელზედაც მილიონები იხარჯება — დაბალი დონის კონცერტებით და შოუებით. ამის ატანა შეუძლებელია. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თვითგადარჩენის იმპულსი. ჩვენ კიდევ ერთი ცუდი თვისება გვაქვს — ჯერ კატასტროფამდე მივდივართ, შემდეგ კი ვამაყობთ, რომ გადავრჩით. ხრამის პირზე სიარულის ოსტატები ვართ. შეიძლება ეს თვისება გენეტიკურიც არის.

— ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ მოსაზრებას „ორი რუსეთის“ არსებობის შესახებ? ბოლოს და ბოლოს ეს მითია თუ რეალობა?

— არ მჯერა ორი რუსეთის არსებობის. მართალია, ბევრ ნორმალურ რუსს ვიცნობ, მათგან ბევრს ბოდიშც მოუხდია, მაგრამ ისინი ამინდს ვერ შექმნიან, მათ სიტყვას ძალა არა აქვს.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკები იდეოლოგიით შეიარაღებულნი მოდიოდნენ ჩვენს დასაპყრობად — ამგვარი იდეოლოგია რუსეთს აღარ გააჩნია. იგი ამჟამად იდეოლოგიის გარეშეა დარჩენილი. რუსეთი დღეს ჩინოვნიკების სახელმწიფოა, რომელიც მხოლოდ გამდიდრებაზე ფიქრობს. მაშინ იდეოლოგიით შეიარაღებული რუსეთი ბევრად უფრო საშიშ ძალას წარმოადგენდა, დღეს მათ ყაჩაღური პოლიტიკა აქვთ. ჩვენ კი მეტი გონიერება გვმართებს.

ესაუბრა შურისხია ბაროშვილი

მონური ფსიქოლოგია ადვილად თავდასაღწევი როდია

საუბარი მწერალ როსტომ ჩხეიძესთან

შურთხია ბაროშვილი

— რუსეთის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია 1921 წლის თებერვალსა და შემდეგ 2008 წლის აგვისტოში გარკვეული პარალელების გავლების საშუალებას გვაძლევს. თქვენი აზრით, ცვლის თუ არა რუსეთი თავის გეგმას და ტაქტიკას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში?

— ეს ცვლილება არაფერს ეტყობა. ხან უფრო მეტეფრია სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიისაკენ სწრაფვა რუსეთის მხრიდან, ხან შედარებით მინაწილებული, მაგრამ ეს მაინც გარეგნული შთაბეჭდილებაა, რადგან ნაც ეს ქვეყანა არა და არ უშვებდა მსოფლიოში გაბატონების ოცნებას (ეს გაუნელებელი ფინი ხელშესახებად აირეკლა თუნდაც შარშანდელ აგვისტოს ომში, როდესაც მსოფლიოს ჩარევამაც ვერ იხსნა ქართული მიწები ოკუპაციისგან), ამ გზაზე კი უცვლილებელია მისთვის ჯერ საბჭოთა კავშირის ყაიდის იმპერიის აღდგენა, შემდგომ კი ახალ-ახალი დაპყრობანი. და რადგანაც მის ამ განზრახვას ეღობება საქართველო — თავისი დამოუკიდებლობისკენ ლტოლვილია და ტერიტორიული საზღვრების შემომტკიცების ნადილით, ცხადია, რუსეთი არ მოითმენს ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერებასა და სრულყოფილებიან ჩადგომას სხვა ერთა შორის.

— 25 თებერვალს საქართველოს მამინდელი მთავრობა თბილისიდან გაიქცა. ჯარმა უკან დაიხია, დედაქალაქი წესრიგის დამცველთა გარეშე დაარსდა და რამდენადაც ცნობილია, პაოლო იაშვილმა ითავა ქალაქში წესრიგის დაცვა. როგორ შეხვდა მამინდელი საზოგადოება მთავრობის გაქცევას ჯერ ბათუმში და შემდეგ ემიგრაციაში?

— ხალხი დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა და, რასაკვირველია, არც უნდა დაენახა სოციალ-დემოკრატთა ამ ორ ფრთას: მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის. ზურაბ ავალიშვილს ზუსტად აქვს შეფასებული ეს ცვლილება საქართველოს მამინდელ ხელისუფლებაში: მენშევიკებმა ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ ქვეყანა დამსგავსებოდა ქირურგიული ოპერაციისთვის გამზადებულ ავადმყოფს, ბოლშევიკებმა კი ეს ქირურგიული ოპერაცია ჩაატარეს. სხვათა შორის, მენშევიკთა ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა პეტრე გელეიშვილი, ვინც თავის დროზე სახელი გაითქვა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ შეთხზული პაპფლეტებით, ასევე ამშვიდებდა დაზარალებულ ხალხს: ნურაფრისა გეშინიათ, ჩვენ მივდივართ, მა-

გრამ სანაცვლოდ ჩვენი ძმები მოდიან მოსკოვიდან.

მარქსიზმის ძუძუნანოვები მხოლოდ ძალაუფლებისა და ნადავლის განაწილებაზე ვერ თანხმდებოდნენ, თორემ სხვა მხრივ სადავო არაფერი ჰქონიათ.

რაც შეეხება პაოლო იაშვილს, მას ნებით კი არ უტვირთია თბილისში წესრიგის დაცვა, არამედ გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა სთხოვა მას, ტიცთან ტაბიქსა და ლევან მეტრეველს (დღესდღეობით ნაკლებად ცნობილ მწერალს), ეზრუნათ რბევისაგან ქალაქის გადასარჩენად — უხელისუფლებო და დარჩენილ თბილისში ისინი შეგებებოდნენ მეთერთმეტე არმიას და ეთხოვათ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა არ აეკლათ. ასე შეინაცვლენ მწერლები პოლიტიკოსებს — ქართული ლიტერატურის სიამის ტყუპებმა თან სახელოვანი გენერლის (ვინც დაამარცხა და უკუაქცია თბილისზე მომდგარი ურდო და ხელისუფლების უგუნური ბრძანება რომ არა, ქართული ჯარი უკან დახევას არ აპირებდა და საზღვრიდანაც გადადენიდა ოკუპანტებს) დავალება შეასრულეს, თან საკუთარი სურვილიც გაამყარეს — მორჩილება და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოეხატათ ახალი ხელისუფლების წინაშე, და კიდევ დაუმეგობრდნენ ბოლო ბოლშევიკებს.

ესეც არის: დამოუკიდებლობის წლებმა, სახელმწიფოს წამიერმა გაეღებამ ერთბაშად გამოაფხიზლა ხალხი მარქსისტული ბანგისგან და კაცობრიობის სხსნაზე მეოცნებენი მიხვდნენ, რომ ყველაზე დიდი ფასეულობა სამყაროში არის ერი, მისი მარადიულობა და რომ კაცობრიობა სხვა არაფერია, თუ არა ერების პარამონიული ერთობა. და თუ რამდენიმე წლის წინათ მენშევიკებმა დიდი ტრიუმფით გაიმარჯვეს საპარლამენტო არჩევნებში, ახლა — არჩევნების პირობებში — არც მათ ჰქონდათ რეალური წარმატების შანსი და არც ბოლშევიკებს, ძალით რომ არ ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება. მაშინ, უსათუოდ, ეროვნული ძალები აღმოჩნდებოდნენ სახელმწიფოს სათავეში.

— რა დავა დასავსა საქართველოს გასაბჭოებამ საქართველოს, ქართველ ერს, ქართველ მწერლებს?

— კაცობრიობას არ ახსოვს ისეთი ბარბარუსული (კორექტურა ნუ გეგონებთ!) რეჟიმი და ძალმომრეობა, რაც ბოლშევიზმმა და კომუნისმმა მოუტანა ადამიანებს. მეტი დალი რაღა გინდათ, როდესაც იქმნება ისეთი გარემო, ბოროტება სიკეთედ ცხადდება, სულიერი დაკნინება — ბედნიერებად, გმირებს ყაჩაღები ჰქვიათ და ყაჩაღებს — გმირები და ტოტალური სიჭრუე, სიყალბე

და უზნეობაა გაბატონებული. უამრავი ნაკლოვანება და ხინჯი, რაც დღესდღეობით ასე თვალსაჩინოა ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში, ამ სასტიკი, საზარელი დალის გამოვლენაა. ამდენად, დიდი ზნეობრივი ფერისცვალება გვჭირდება მისგან თავდასაღწევად.

— იმ პერიოდის ქართულ მწერლობაში ვის გამოარჩევდით — ვინ ახერხებდა ხმამაღლა პროტესტის გამოთქმას და ვის რა ბედი ერგო?

— 20-იანი წლების პირველ ხანებში, როდესაც ვერ მარწუხები უღმობლად არ იყო შემოჭრილი, უამრავმა მწერალმა დაიტირა დაკარგული თავისუფლება, უამრავმა გამოთქვა მკაცრი პროტესტი... მაგრამ ხელისუფლების მომძლავრებისა და გასასტიკების კვალობაზე ნელ-ნელა ჩაანყვეტინეს ხმა სიმართლის თქმის მოყვარულთ, თუმც ყველას მაინც ვერა... და მიხილ ჯავახიშვილი, ვინც დაგვიტოვა საბჭოთა საქართველოს დამკვიდრების პირველი ხანის ეჭვმუყავალი მხატვრული სურათი, კიდევ შეენირა მწერლური მოვალეობის აღსრულებას.

თუმც მისმა მწარე ხედვრმა არამცთუ ვერ ჩაკლა პროტესტის ნადილი ქართულ ლიტერატურაში, არამედ კიდევ უფრო გამამაფრა, რისი დასტურიცაა მიხილ ჯავახიშვილის შემდგომ ოთარ ჩხეიძის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე და მის მიერ შემოტანილი კრიტიციზმი, რაც უმაგალითო გახლდათ მამინდელი საბჭოთა იმპერიის საზღვრებში. და კიდევ ინვინია დევნა-მევიწროება ხელისუფლებისგან, თუმც მაინც შექმნა საბჭოთა საქართველოს, და მასთან ერთად, პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების საგა „მატიანე ქართლისა“ — შესავალ ნაწილთან ერთად 24 რომანის მომცველი.

— თქვენი აზრით, რატომ ვერ ხერხდება ილია ჭავჭავაძის იდეების მომხრე ძალთა გაბატონება საქართველოში? რატომ ვერასოდეს ვერ იქცა ეს ძალა დომინანტად საქართველოს ისტორიაში — რა არის ამის მიზეზი?

— ასე ნუ ვიტყვით, რომ ვერ ხერხდება — საქართველოს პირველი რესპუბლიკაც ილიას ეროვნულ-პოლიტიკურ მოძღვრებაზე ამოიზარდა და ხელმეორედაც მისი იდეების წყალობით დადგა ფეხზე სახელმწიფო. ილიას მოძღვრებამ გამოგვატარა მარქსისტული რელიგიის ხანა და ეს დოქტრინა დავისხნის გლობალიზმის რელიგიისგანაც: ეს სწორედ ილიას მომხრეთა და მიმდევართა ძალასა და სიმტკიცეზე მეტყველებს, რაც, ადრე თუ გვიან, ამ ძალის სრული ტრიუმ-



ფოტო დაგვირგვინდება. — ქართულ ინტელიგენციას ორი რუსეთის არსებობის კვლავ სწამს თუ არა მას შემდეგ, რაც 21-ე საუკუნეში რუსეთმა კვლავ ფართომასშტაბიანი აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ?

— უფრო ყალბი თეორია, ვიდრე ორი რუსეთის არსებობის მტკიცებაა, ბევრი არ მოიძებნება. ვითომდა ერთმანეთს უპირისპირდება დემოკრატიული და რეაქციული რუსეთი. ნეტა სად ხედავენ ამ დაპირისპირებას, როდესაც ყველა რუსი, დიდიან-პატარაანად, შეუპყრია მესამე რომად დამკვიდრებისა და ცრუმესიანისტურ ფინს, და ეს ფინი ისეთი მძაფრია, რომ თვით მწერლებსაც ვერ დაუღწევიათ თავი და ყოველთვის ამართლებდნენ და ამართლებენ დამპყრობლურ ომებს, რასაც ხელისუფლება ინტერნაციონალური ვალის მოხდით, თავისი მოქალაქეების დაცვის მომიზეზებით ნიღბავდა და ნიღბავს. სამუხაროდ, კვლავაც ცოტანი არ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც სჯერათ — ან ძალიან სურთ, რომ დაიჯერონ — ორი რუსეთის არსებობა. რას ვიზამთ, მონური ფსიქოლოგია არ არის ადვილად თავდასაღწევი. თუმც ვისაც არა გვეჯერა, მათ არა ვთხოვთ: გაგვატარეთ, თუ შეიძლებაო. მათი ნებართვის გარეშეც გავაგრძელებთ ბრძოლას რუსეთის ფეხის ერთხელ და სამუდამოდ ამოსაკვეთად ჩვენი მიწა-წყლიდან.

ამ მოვალეობას მარტოდენ თებერვლიან ან აგვისტო არ მოგვაგონებს. ეს ჩვენი არსებობის გულსიგულია საქართველოს სახელმწიფოს დასამკვიდრებლად, ქართლის ბედს აყოლილი კი — ილიასი არ იყოს — „დაე გვძარხოვნ, თუ მის ძებნით დავლიოთ დღენი“.

სინათლისა და სიბნელის სასტიკი ბრძოლა უნივერსიტეტში

„ჯერ კიდევ 1917 წლის (12) 25 მარტს, მცხეთას შემდგარმა საქართველოს ეპისკოპოსთ-სამღვდლოების ყრილობამ აღდგენილად გამოაცხადა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (რაც რუსეთის სინოდს გაუქმებული ჰქონდა 1811 წელს). — ეს გახლდათ საქართველოს სულიერი სუვერენობის აღდგენა.“

26 იანვარს, 1918 წელს — უკვე დამოუკიდებელი კავკასიის პირობებში — მოხდა გახსნა თბილისის ქართული უნივერსიტეტის — მემკვიდრე გელათის და იყალთოს აკადემიების. — ეს იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა: გონების სფეროში!

და ბოლოს — 26 მისს, 1918 წელს საქართველომ აღადგინა თავისი საერთაშორისო სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სუვერენობა.“

ლევან ზურაბიშვილი

ქართული უნივერსიტეტი დაარსებისთანავე საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და თვითმყოფადობის ბურჯად იქცა. ალბათ შემთხვევითი არც იყო, რომ მისი დაფუძნება წინ უსწრებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას — საქართველოს არსებობასა და საუკუნეთა ქარტეხილებში გადარჩენას ხომ ქართველობის სულიერება და გონიერება განაპირობებდა!

განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას.

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო წრფელის გულით იზიარებს ქართველი ერის სიხარულს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის ნახევარი წლის დღესასწაულის გამო. გილოცავთ თქვენა და მთელს პარლამენტს ამ დიად დღეს და გისურვებთ კვლავ მხნედ და შეუდრეკელად განაგრძოთ ნორჩი სახელმ-

წიფოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებათა დაცვა და განმტკიცება. დეე, მტკიცე საძირკველზე დაემყაროს თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო შენობა, ყველა მოქალაქეთათვის სანატრელი და სასიქადაულო. უნივერსიტეტიც თავის მხრივ მზადაა, მთელი თავისი ცოდნა და ძალ-ღონე შესწიროს აღორძინებული საქართველოს აყვავებასა და საყვარელი სამშობლოს შეუნყვეტლივ კულტურულ წარმატებას“, — წერდა უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ჩხეიძეს.

1921 წელს საქართველოში განვითარებული ურთულესი კატაკლიზმები მძიმედ აისახა უნივერსიტეტის ცხოვრებაზეც. საქართველომ სამიოდ წლის წინ მოპოვებული დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთის თავდასხმის შედეგად დაკარგა. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცნენ ქართველი სტუდენტებიც.



დამფუძნებელმა კრებამ მთელ მოსახლეობას, ქართველ ახალგაზრდობას სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. ამ მოწოდებას აქტიურად დაუჭირა მხარი უნივერსიტეტმა. ომში მიმავალ სტუდენტებს ბრძოლის გზა დაულოცა უნივერსიტეტის მამინდელმა რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა.

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფრონტზე, ამის შესაბამისად ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მე-8 გვერდი

სინათლისა და სიბნელის სასტიკი ბრძოლა უნივერსიტეტში

მე-7 გვერდიდან



უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს წერილით მიმართა: „პატივი გვაქვს, წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულ საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფორმულაზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხ-

ეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“.

ქართველმა იუნიკრებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს კოჯრის მისადგომებთან. ქართული ჯარი სისხლისაგან იცლებოდა. საქართველოს ოკუპაცია ეჭვს აღარ იწვევდა, არადა, სულ ორიოდე კვირის წინ 1921 წლის 4 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას საქართველოს იურიდიული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულ საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფორმულაზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხ-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და ეროვნული მთავრობის ემიგრაციაში გახიზვნის შემდეგ, საზღვარგარეთ წასვლის გამო, უნივერსიტეტი დატოვეს პროფესორებმა ექვთიმე თაყაიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, ალექსანდრე მანუილოვმა, ვანდა ღამბაშიძემ. მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილი არ წავიდა უცხოეთში.

ბევრი დაინერა და კვლავ მრავალი დარჩა საკვლევი და სათქმელი საბჭოურ რეპრესიებზე. კომუნისტურმა ხელისუ-

ფლებამ ფიზიკურ ძალადობასთან ერთად იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოაქცია ქართული საგანმანათლებლო სისტემა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნივერსიტეტში აქტიურად დაიწყო რუსული უმაღლესი სასწავლებლების პრინციპების დანერგვა. მოგვიანებით განათლების სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ივანე ჯავახიშვილი, მიმოიხილა და აღარებდა რა ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს საუნივერსიტეტო სასწავლო სისტემას, წერდა: „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმის პროექტი ამ ფაკულტეტის ან არსებულ სასწავლო გეგმას ძირფესვიანად ცვლის. მოსპობილია მთლიანად ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და ისტორიის დარგები, არსად მოიპოვება ბერძნული, ლათინური და მახლობელი აღმოსავლეთის იმ ენებისა და მწერლობის ისტორია, რომელთა სწავლება უნივერსიტეტის დაარსებიდანვე სწარმოებდა. თვით ქართულ მწერლობის ისტორიაც კი მარტო ახალი და უახლესი ხანით არის განსაზღვრული, მაშასადამე ქართული მწერლობის ცამეტი საუკუნის ისტორია მთლიანად გაუქმებულია... აღსანიშნავია, რომ თელ პროგრამაში ისეთი ძირითადი საგნების, როგორცაა მინერალოგია, კრისტალოგრაფია, პალეონტოლოგია, პეტროგრაფია, ანატომია, ანთროპოლოგია, ფიზიოლოგია, ხსენებაც კი არ მოიპოვება. შედარებითგან ირკვევა, რომ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის შემუშავებული გეგმა ნამდვილად მოსკოვის მე-2 სახელმწიფო უნივერსიტეტის გეგმის უბრალო თარგმანს წარმოადგენს, მხოლოდ იმ მცირედი განსხვავებით, რომ სადაც რუსულ ტექსტში რუსეთი და რუსული ენაა წერია, იქ საქართველო და ქართული ენაა დასატებული.“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471,

ანაწერი 1, საქმე 27, ფურც. 5). ივანე ჯავახიშვილისთვის მიუღებელი იყო ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებიდან სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების პირდაპირი გადმოღება. მისი აზრით, ეს საკითხი სათუთ მიდგომას საჭიროებდა, რადგანაც მისი გაუანალიზებელი ჩართვა სასწავლო პროცესში „განსაცდელში ჩაგდებას ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებს“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი იმავე დოკუმენტში.

1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელი პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ კომუნისტმა თედო ლონსტამა დაიკავა. დამთავრდა ერთი დიდი, რომანტიზმით, უანგარობით, სიღარბისლით გამსჭვალული ეპოქა ქართული უნივერსიტეტის ისტორიაში და დაიწყო სინათლისა და სიბნელის სასტიკი ბრძოლის, დასმენების, განუკითხავის მძიმე წლები. ერთმანეთს ცვლიდნენ კომუნისტი რექტორები და თითოეული მათგანი თავისივე იდეოლოგიური თანამომხედის მიერ გამოტანილი განაჩენით — დახვრეტით ამთავრებდა სიცოცხლეს... უნივერსიტეტიდან ივანე ჯავახიშვილის სამარცხვინო გაძევებით არ დამთავრებულა საბჭოთა რეჟიმის შეტევა უნივერსიტეტზე. გავიდა რამდენიმე წელი და უნივერსიტეტი ფაქტობრივად გააუქმეს, მერე კვლავ აღადგინეს. სისხლის წვიმებმა, რომლებმაც საბჭოთა რეპრესიების სახით ქვეყანას გადაუარეს, უნივერსიტეტისგანაც დიდი მსხვერპლი მოითხოვა, მრავალი ქარიშხალი დატრიალდა მის თავზე, მაგრამ 1918 წლის 26 იანვარს თბილისის განაპირას, ვერის უბანში აგებული სათავადაზნაურო გიმნაზიის ქაქათა შენობაში უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ სამ ოთახში ივანე ჯავახიშვილის მიერ ანთებული შუქის ჩაქრობა ვერავინ მოახერხა.

ზურაბ მაიკაბაძე

მარო მაყაშვილი: „ამისთანა „მფარველი“ რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა“

1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთის არმიამ საქართველოს ანექსიის განხორციელება დაიწყო.

უნივერსიტეტმა თავისი სიტყვა უნდა თქვას, მერე რა რომ ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, ქართველი ხალხის სამშობლოს თავისუფლებისთვის თავგანწირვა ხომ საუკუნეებს ითვლის... ქართული უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს ქართული სახელმწიფოებრიობის დასაცავად მოუწოდებდა... როგორც მისი თანამედროვენი ამბობდნენ, იგი ძალიან განიცდიდა ამ ფაქტს და ყოველთვის ტკივილით იხსენებდა — ახალგაზრდებს სწავლის მაგივრად ბრძოლისკენ მოეუწოდებდით...

თამარ მარაშვილი

მთელი საქართველოს ახალგაზრდობა დადგა სამშობლოს ფარად და მახვილად. სტუდენტებს არც გიმნაზიულებმა დაუდეს ტოლი... მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი შალვა მაყაშვილი იყო — მარო მაყაშვილის ძმა.

ორი დღის შემდეგ ახალი განსაცდელი ელოდა ოჯახს. ძმის არჩევანი დამაც გაიზიარა, კვალში ჩაუდგა. ჩამოყალიბებულა თუ არა საზოგადოება „შეფარდნი“, ხალხით ჩანერილა. მაყაშვილების უფროსმა ქალიშვილმა მშობლებს წარბეჭუხრელად აცნობა — ფრონტზე მეც მივდივარო. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა ამბავი დატრიალდებოდა ოჯახში, თუმცა მარო უკვე 19 წლისა იყო და უნივერსიტეტის II კურსზე სწავლობდა. შეწუხდნენ მშობლები, ბევრი ეხვეწნენ და ემუდარნენ... განსაკუთრებით პრინციპული იყო დედა. არც ახლობლების შეგონებამ და მინიმუმ — ომი რა ქალის საქმეაო, — არ გასჭრა.

17 თებერვალს წითელ ჯვარში ჩაენერა მონწილეობის დად. იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად კოჯრისკენ წავიდა. აი, რას წერდა თავის დღიურში: „ოჰ, მონობა რა ცუდი ყოფილა — შენ გინდა და სხვა გიშლის. რუსეთმა, რაც კარგი გვქონდა, ჩვენი კულტურა სულ დასცა. ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამ რუსობამ რა შედეგი მოუტანა ჩვენს ერს. ამისთანა „მფარველი“ რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა...“

და აი, გათენდა 19 თებერვლის ავადასახსენებელი დღი. სანიტარულ ორთქმავალზე ზის მარო და დაჭრილი თანამომხედისკენ

მიიჩქარის. უცრად ორთვალას ახლოს გამსკდარი ჭურვის ნამსხვრევი თავში ხვდება და იქვე გამოასალმებს სიცოცხლეს. მაროს დალუპვის ამბავით შეძრულა ფრონტი და დედაქალაქიც. ბატონი თამაზ ჩხენკელი იხსენებს: „ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ქვედა სამლოცველოდან გამოუსვენებიათ მარო. მაროს პროცესია დაიძრა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს წინამძღოლობით. გეზი მიხილის საშხედრო ტაძრისკენ აიღეს. მაროს პროცესია შეუერთდა მიხილის გამზირიდან მომავალი თერთმეტი იუნივერსის პროცესიას... მარო მიხილის ტაძრის გაღანის კუთხეში დაკრძალეს. დაკრძალეს განმარტოებით, იუნკრები — ტაძრის გაღანის მეორე მხარეს, ერთ სამო საფლავში“.

მარო სასწაულით გადარჩენილ საკუთარ დღიურებში განაგრძობდა ცხოვრებას. მისი დღიური ორ წელს მოიცავს მხოლოდ: 1918-1919 წლებს. მაგრამ რა არის ორი წელი უკვდავებისთვის. რუსთაველის „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ ბავშვური ხელთაა ამონერილი მარო მაყაშვილის დღიურის ყდაზე. საქართველოს დროშაც მიუხატავს გვერდზე, ლამაზი ყვავილების ნაცვლად... 17 წლისაა და ქალწულობაში შედის, თავის მე-საიდუმლო დღიურს კი სამშენისად სამფერა დროშის ხატებას უკეთებს... აი, ბოლო ამონარიდი დღიურიდან თებერვლის იმ საბედისწერო დღიდან დაწერილი: „მე ჯერჯერობით კარგად ვარ... მტერი ჯერ შორს არის. ძალიან სცხებენ ჩვენები. ყველანი ძალიან მაღლივრები არიან ჩემით... ვკოცნით ბუფს... მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გემინათ, გავიმარჯვებთ სახელოვნად!“.



ნუგეზა მაყაშვილი დას მონაყოლით იცნობს

ახლაც თებერვალა, ოღონდ მაროს დალუპვიდან ოთხმოცდამეცხრე თებერვალი, მისი დის, ქალბატონ ნუგეზა მაყაშვილისთვის ისეთივე სუსხიანი და ტკივილიანი, როგორც გასული წლების წინ. ნუგეზა მაყაშვილი სევდიანად იხსენებს:

„მაროს სახელი ჩვენს ოჯახში იდუმალეობით იყო მოცული და ამიტომ იგი ჩემთვის ახლობელიც იყო და შორეულიც. დედაჩემის სანოლთან ეკიდა მაროს სურათი — მისივე ხელით ნაქარგ ჩარჩოში. სანერ მაგიდაზე ზარდახში მაროს დღიურები ინახებოდა და კიდევ მისი მოჭრილი თმა — ეს იყო ჩვენი ოჯახის წმიდათანი და რელიქვია. დედის ანდერძის თანახმად — ეს თმა

მისთვის უნდა ჩამეყოლებინა საფლავში. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ ზარდახში პირველად გავხსენი. მაშინ წავიკითხე მაროს დღიურები და შევიგრძენი მისი გამორჩეული ბუნება, დავინახე სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული 17-18 წლის გოგონა, ამხანაგების წრეში ჩაბმული, მხიარული და თავდავიწყებით მოცეკვავე. ამავე დროს, ჩემს თვალწინ გამოიკვეთა მისი მჭუნვარე სახე, სამშობლოს ბედზე სერიოზულად დაფიქრებული...“

მე რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ამბებს არ შევსწრებოვარ. ჩემს და-ძმებში ყველაზე უმცროსი ვიყავი, დავიბადე მაროს დალუპვის შემდეგ...

ახლაც გახდა შესაძლებელი მარო მაყაშვილის სახელის ხსენება. ამ ბოლო დროს ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა არა ერთი სტატია მის შესახებ. ბავშვობაში დედას მივყავი მაროს საფლავთან, მაგრამ იქ ჩვენ დიდხანს არ ვჩერდებოდით, რადგან ეს არ შეიძლებოდა. პოეტი მაყაშვილი მრევლიშვილი იმ გიმნაზიის უმცროსკლასელი იყო, სადაც მარო სწავლობდა. მისი ნაამბობიდან ვიცი, რომ ის და მისი ამხანაგები ჩუმად მიდიდნენ მაროს საფლავზე და ყვავილებს აწყობდნენ.

დროთა დინებამ მაროს საფლავი წაშალა, რადგან ის დღევანდელი პარლამენტის შენობის ტერიტორიაზე იყო. მას შემდეგ დედას იმ ქუჩაზე აღარ გაუვლია.

მაროს გარდაცვალების წლისთავზე მაშინვე, კოტე მაყაშვილმა, მის ხსოვნას უძღვნა ლექსი: „ჩემს მაროს“, რომელიც 1922 წელს გაზეთ „პოეზიის დღეში“ დაიბეჭდა.

„დავილაღე... დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი ჩემო გმირო და წმინდნო გამამხსენვე მშობელი! სამშობლო თუ შენ — რომელი, ახ, ვიტყვი რომელი?! დავენი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლთა მშრობელი“.

რეპრესირებულ ადამიანთა სევდა

ინტერვიუ ილამაზ მინიშვილთან

1921 წელს წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიას ქართველი ხალხი არასოდეს შეგუებია — პროტესტის გამოხატვას ყოველთვის ჰქონდა ადგილი, თუმცა მისი ფორმები და გამოვლინების მასშტაბები ცალკეულ პერიოდებში სხვადასხვანაირი იყო. საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიულ ღონისძიებებს, რაც აშკარად ავლენდა რუსული კომუნისტური იდეოლოგიის კაცთმოძულე ხასიათს, ქართული საზოგადოების გამორჩეული ნაწილი ემსხვერპლა. მათ შორის იყო ცნობილი „ცისფერყანელი“ ნიკოლო მინიშვილი, რომელიც კომუნისტებმა დახვრიტეს. რომელი სიტყვა არ აპატიებს — ამის დადგენა ძნელია, რადგან წარმოუდგენელია იმ ცივისხსიანი კომუნისტების ყურთასმენის უნარი ჩასწვდეს, რომლებიც ჰაერში იჭერდნენ ფრთებს ადგილზე განაჩენის გამოსატანად. მსგავსი ტრაგიკული ისტორიების — რეპრესირებულ ადამიანთა სევდის „შემგროვებელ“ ორგანიზაცია „მემორიალს“ დღეს ნიკოლო მინიშვილის შვილი ილამაზ მინიშვილი უდგას სათავეში (იგი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელია). საზოგადოება „მემორიალის“ მიზნებს საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ სრული ისტორიული სიმართლის დადგენა წარმოადგენს.

ინტერვიუ

— თქვენი აზრით, რაში მდგომარეობდა ამ პოლიტიკური რეპრესიების არსი?

— მოხარული ვარ, რომ უდიდესი ქართველი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ახალგაზრდობა იჩენს ინტერესს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი პერიოდის მიმართ, რომელსაც ათასობით უდანაშაულო ჩვენი თანამემამულე შეენირა. მეორე მხრივ, მინდა მკაფიოდ განვაცხადო, რომ გასაგები მიზეზის გამო ჩემი პასუხები ვერ იქნება სრული და ამომწურავი — ვვარაუდობ, რომ თითოეული თქვენი შეკითხვა განმარტებისთვის გაცილებით მეტ დროს მოითხოვს და ცალკე განხილვა დასჭირდება.

საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ სრული ისტორიული სიმართლის დადგენა იმდენად მასშტაბური თემაა, რომ სრულად მის შესწავლას უამრავი სპეციალისტის შრომა და წლები დასჭირდება. ამდენად, საზოგადოება „მემორიალი“ ამ ამოცანის შესრულების მხოლოდ ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

კომუნისტური რეპრესიები ისეთი სისასტიკითა და არაადამიანური მეთოდებით განხორციელდა, რომ წარმოუდგენელია შემწყნარებლური პოზიცია ვინმემ დაიკავოს. რაც შეეხება არსს, იგი იდენტურია ნებისმიერი კლასიკური ავტორიტარული რეჟიმისა, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხის დამონებას, რაც ქვეყნისათვის შეიძლება საზიანოც კი იყოს.

— საქართველოს გასაბჭოებამ რა დალი დაასვა საქართველოს? ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციამ რამდენად იმოქმედა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზე?

— ვფიქრობ, რომ საქართველოს გასაბჭოება იყო უცხო ქვეყნის მიერ სუვერენული სახელმწიფოს ანექსიის კლასიკური მაგალითი, ამ პროცესისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით: ხალხი და ქვეყანა მოექცა მართვის ავტორიტარული სისტემის წინების ქვეშ, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამომიხატა ე.წ. „საბჭოთა ხალხის“ ფორმირებ-

ის მცდელობაში. ამისათვის პრაქტიკულად მკვიდრდებოდა „უფროსი ძმის“ - რუსი ხალხის — ჰეგემონიზაცია.

მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე ნეგატიური შედეგი მორალური ხასიათისაა — ილია ჭავჭავაძის თავგამოდებული მცდელობის შედეგად ეროვნული ინტერესების მსახურების მიზნით საზოგადოების გაერთიანების თვალსაზრისით მიღწეული დონე დაირღვა და პირადული კეთილდღეობა გახდა ზნეობის დომინანტი, რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით.

— თქვენს ორგანიზაციას შეეხება აქვს საბჭოთა სისტემის პირობებში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა, მათ თანამოაზრეთა თუ უდანაშაულო რეპრესირებულ ადამიანთა ისტორიებთან. რა სტატისტიკური მონაცემების მოყვანა შეგიძლიათ? რამდენად მძიმე იყო მათი სვედრი? რამდენად ღირებულია საქართველოს ისტორიისათვის მათი თავგანწირვა?

— იმ მხრივ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც „მემორიალს“ გააჩნია (თავის საქმიანობას იგი ახორციელებს ყოველგვარი ფინანსური თუ მატერიალური დახმარების გარეშე, მხოლოდ ენთუზიასტთა მცირე ჯგუფის უანგარო შრომის შედეგად), ვერ მოხერხდა სამუშაოების ფართოდ გაშლა. ჩვენმა მრავალწლიანმა მცდელობამ — შექმნილიყო კომუნისტური რეპრესიების ამსახველი მემორიალური კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში დაარსებული მუზეუმი ითავებდა წამყვან როლს რეპრესირების შესახებ მასალების მოპოვება-განზოგადების საქმეში, შედეგი ვერ გამოიყო. დაუმუშავებელი მასალის სახით „მემორიალს“ შეგროვებული აქვს ათასობით ოფიციალური საბუთი, ვიდეო და აუდიოჩანაწერი, მოგონებები, პუბლიკაციები და სხვა, თუმცა ისინი მაინც არ იძლევა რეპრესირების ზუსტი რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს საქმე მომავალში მაინც გაკეთდება, განსაკუთრებით — სუკ-ის არქივების გახსნის შემდეგ.

განხორციელებული რეპრესიების განმარტებელი ნიშნების ზოგადი ერთიანო-



ბის მიუხედავად, თითოეული რეპრესირებულის ისტორია განუყოფრებული, ხოლო ხვედრი — ტრაგიკულია. ამის შესახებ არსებული თითო-ორთა წიგნი და ფილმი სრულებითაც ვერ ასახავს კომუნისტური ძალადობის ვერც მასშტაბებსა და ვერც ფორმებს.

რეპრესირების ისტორია სავსეა თავგანწირვის სხვადასხვაგვარი მაგალითებით. მთავარი მათი ნიშანი არის ერთგულება, ერთგულება სამშობლოს, იდეის, ოჯახის, ახლობლების, საქმის, ღირსებისა და სხვა მორალური ფასეულობებისადმი. თითოეული ასეთი შემთხვევა ფასდაუდებელი ღირებულებისაა, რადგან სწორედ ასეთი მაგალითები აპირობებენ ერის სულიერ უკვდავებას.

— საინტერესოა თქვენი სულისკვეთება — რა იდეებით იზრდებოდით ოჯახში? რა თემა იყო ტაბუდადებული? როდის დაიწყეთ რეპრესირებულთა ისტორიების შესწავლა და რამ განაპირობა საზოგადოება „მემორიალის“ ჩამოყალიბების სურვილი?

— მსჯელობა სულსკვეთებაზე და იდეებზე იმ კონკრეტულ პირობებში, რომელშიც ჩემი და ათასობით მსგავსი ბედის ოჯახი იმყოფებოდა (დახვრეტილ-გადასახლებული მშობლები, ბედნიერ შემთხვევაში ახლობლების იმედზე დარჩენილი ბავშვები, ჩამორთმეული ბინა, ქონება, გერმანიასთან ომის უსაშინლესი გაჭირვების წლები), უადგილოდ მერყენება, რადგან ბევრისათვის ეს იყო, ფაქტობრივად, ბრძოლა ცოცხლად დარჩენისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს მჯეროდა ჩემი მშობლების დანაშაულისა, გულახდილად მოგახსენებთ — ძნელად წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა ისეთი დრო, ამ თემაზე ლაპარაკი თავისუფლად რომ გახდებოდა შესაძლებელი. ამდენად, პირადად ჩემი მონაწილეობა კომუნისტური რეპრესირების შესწავლის საქმეში საზოგადოება „მემორიალის“ საქმიანობის პერიოდთან არის დაკავშირებული:

რასაკვირველია, მზარდი დისიდენტური მოძრაობა ხელს უწყობდა ანტიკომუნისტური აზროვნების გავრცელებას, მაგრამ, უდავოა, რომ ამ მიმართულებით რადიკალური „გარღვევის“ პირობები შეიქმნა „პერესტროიკის“ დროს, 80-იანი წლების ბოლოს — ჯერ მოსკოვში ჩამოყალიბდა მძლავრი ორგანიზაცია „მემორიალი“, შემდეგ თბილისში — მისი ანალოგი. ეს უკანასკნელი საბჭოთა სახელმწიფოს დაშლასთან ერთად გაუქმდა, მაგრამ საზოგადოებაში იმდენად ძლიერი იყო სურვილი უდანაშაულოდ რეპრესირებულთა სხვისის მკვდრეთით აღდგენისა, რომ 1992 წლის 15 ივლისს დაფუძნდა ამჯერად უკვე ეროვნული, დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალი“, რომელიც არსებობის 17 წლის თავზე დადგა საქმიანობის შეწყვეტის რეალური საშიშროების წინაშე, რადგან ამჟამად საზოგადოება სამუშაო ფართის გარეშე აღმოჩნდა.

— გვიამბეთ, როგორ იბრძოდა მამათქვენი — ნიკოლო მინიშვილი საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ? საინტერესოა მისი ისტორია, როგორც რეპრესირებული „ცისფერყანელისა“...

— იმდროინდელი დამოკიდებულება კომუნისტური საბჭოეთის, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის მიმართ, გამარტივებული სახით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. იყვნენ ამ რეჟიმის სრული მხარდამჭერები, ვისაც გულწრფელად სჯეროდა მარქსისტული იდეებისა; 2. იყვნენ ლოიალურად განწყობილი, ვინც თვლიდა, რომ სხვა გამოსავალი არ არის; 3. იყვნენ რეჟიმის აქტიური მონაწილე მკვდრები. ადვილი მისახვედრია, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მათ შორის — მამაჩემიც, სწორედ მეორე ჯგუფს განეკუთვნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ლოიალური იყო იმ წყობის მიმართ და აშკარა პროტესტს არ გამოხატავდა, მისი მწერლური მოღვაწეობა პროლეტმწერალთა და ოფიციალური მხრიდან უმწვევარესი კრიტიკის საშიზნედ მაინც იქცა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლოს მამაჩემმა ხელისუფლება დაადაშაშაულა „დუბინას“ (ხელკეტის) გამოყენებით ლიტერატურაზე ზემოქმედებაში. მწერლური ასპარეზის გარდა, იგი აქტიურად იყო ჩაბმული საგამომცემლო საქმესა და საზოგადოებრივ საქმიანობაში (იყო „სახელგამის“ მხატვრული განყოფილების გამგე, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ქართული მწერლობის“ დამაარსებელი, რიგი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორი, რედაქციებისა და კომისიების წევრი და სხვ.). „ცისფერყანელების“ — ამ ლიტერატურული ორდენის — წევრთაგან ზოგის ხვედრი მართლაც ტრაგიკული აღმოჩნდა — პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა, ტიცინა ტაბიძე და ნიკოლო მინიშვილი დახვრიტეს, სამშობლოს მონატრებულმა გრიგოლ რობაქიძემ უცხოეთში დალია სული.


„დაკავშირებული“ ლექსის ამბავი — „25 თებერვალი 1921 წ.“

ამონარიდი რევაზ კვერენჩილადის ნიგნიდან „საბუთები ღალადებენ“

1921 წლის თებერვლის სიმწარემ ცისფერყანელ პოეტ კოლაუ (ნიკოლოზ) ნადირაძეს იმ დღეებშიც მწვავე სიტყვები ათქმევინა სამშობლოსთვის (გონიერი ქართველები უმთავრესად ჩვენშივე ხედავდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვის მიზეზებს). მას ხმამაღლა სათქმელად არდანებებულ იც ბევრი რამ აწვალბდა ათეული წლების განმავლობაში.

ბოლოს, იფიქრა თან არ გამყვესო (იგი ხომ უკვე 74 წლისა იყო) და 1969 წელს დაწერა ლექსი „25 თებერვალი 1921 წ.“ გათავაზობთ ამონარიდს ამ ლექსიდან:

„წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით შემოდიოდა სიკვდილი ცელით! თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.



დაწერით კი დაწერა, მაგრამ იფიქრა — ამის დაბეჭდვას სიცოცხლეში ვერ მოვესწრებო და საიმედოდ შესანახად მეგობარს, შედარებით ახალგაზრდა შალვა დემეტრაძეს მიაბარა. მაგრამ... გზანი უფლისანი შეუცნობელია — შალვა კოლაუზე ადრე გარდაიცვალა და ეს ლექსი მის არქივთან ერთად ლიტერატურის მუზეუმში მოხვდა.

„პოეტის ათასი სტრიქონის“ პროექტი გამოსაცემი წიგნები (1986 წ.), მ.შ. კოლაუ ნადირაძის კრებული, ხელახალ ცენზურას არ ექვემდებარებოდა, რადგან აპრობირებული ლექსები იბეჭდებოდა.

მაგრამ ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლის გურამ ვანიძის დახმარებით კრებული მოხვდა ზემოხსენებული ლექსი, რომელიც წიგნის რედაქტორმა, მწერალმა ლეილა ბეროშვილმა წაიკითხა, მთ. რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პოეტმა იზა ორჯონიკიძემ კი — მეც ვნახე და გავუშვიო.

ფაქტი მხოლოდ მთელი ტირაჟის მალაზიებში გასვლის შემდეგ გახმაურდა და,

ერთი მხრივ, ქართველების უმეტესობის სევდანარევი აღფრთოვანება გამოიწვია, მეორე მხრივ კი ხელისუფალთა და მათი სუკის კბილების ღრჭიალი.

როგორც ქ-ნიზა იგონებს, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერი ბაქრაძემ ამ საქმის განხილვას თავი აარიდა. მისი პირველი მოადგილე რეზო ლლონტი კი „დამნაშავეთა“ დამცველად უფრო გამოვიდა, ვიდრე კომიტეტის კიდევ ერთი მოადგილე ალექსანდრე ბრეგვაძე და, რაც უფრო საწყენია, გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორი, მწერალი მამუკა ნიკლაურიც.

შედეგად სამსახურიდან დაითხოვეს გ. ვანიძე, ლ. ბეროშვილი ი. ორჯონიკიძე, სულ გამომცემლობისა და მუზეუმის 12 თანამშრომელი. გვარიანად დატუქსეს მოხუცი პოეტიც.

90-იან წლებში ეს ლექსი ფართო საზოგადოებას გაცნობა გაზეთმა „ქართულმა ფილმმა“ (1990 წ.) მომდევნო წელს კი — „ლიტერატურულმა საქართველომ“ (22 თებ.).

ახლად გამხელელი საქართველოს ისტორია — 1918-1921 წლები

1917 წელს ჯერ თებერვლისა და შემდეგ ოქტომბრის რევოლუციების შედეგად რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე 1918 წლის 26 მაისს იშვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც არასრულ სამ წელს იარსება და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის შედეგად დაემხო 1921 წლის თებერვალ-მარტში. ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობა და ქართული პოლიტიკური პარტიები (ძირითადად სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) იძულებულნი გახდნენ ემიგრაციაში გახიზნულიყვნენ, სადაც გაშალეს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სივრცეიდან თავის დასაღწევად.

საქართველოსთვის ამ ტრაგიკული ისტორიული პერიოდის აღწერა საბჭოთა წყობილების პირობებში, 70 წლის მანძილზე, შეუძლებელი იყო. დამალული ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მეტ-ნაკლებად რეალური ასახვა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. გთავაზობთ ფრაგმენტულ სურათს 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მისი გასაბჭოების თაობაზე.

ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები საქართველოში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას (1918 წლის 26 მაისს) მტრულად შეხვდა საბჭოთა რუსეთი. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პირობებში რუსეთს არ შეეძლო 1918-1920 წლებში საქართველოს სამინაო საქმეებში უშუალოდ ჩარევა. სწორედ ამიტომ მოსკოვი შეუდგა საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის ორგანიზებასა და მის ამოქმედებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. რუსეთის მეხუთე კოლონის ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ ქართველი ბოლშევიკები. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად იყენებდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს, საქართველოში მცხოვრებ რუსი და სომეხი ეროვნების მოსახლეობას. საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის საქმიანობას კონტროლს უწევდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტი (შეიქმნა 1917 წლის ოქტომბერში), ხოლო შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (შეიქმნა 1920 წლის აპრილში). სამხარეო კომიტეტისა და კავკასიის ბიუროს ანტიქართულ მოღვაწეობაში აქტიურ როლს თამაშობდნენ ფილიპე მახარაძე, სერგეი კოროვი, სტეფანე შაუშიანი, სერგო ორჯონიკიძე და სხვ. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს საქმიანობა უშუალოდ ვლადიმერ ლენინთან ან იოსებ სტალინთან თანხმდებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომხრელ საქმიანობას დიდი ინტენსივობით აწარმოებდა თავისი ანტიქართული განწყობილებით ცნობილი ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო, რომლის ცენტრალური მმართველობა თბილისში იმყოფებოდა. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს ანტიქართულ მოღვაწეობაში დიდი დახმარებას უწევდა საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის, რუსი სამღვდლოება. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ფილიალებს წარმოადგენდა ასევე თავისი ანტიქართული საქმიანობით ცნობილი ბათუმისა და სოხუმის რუსთა

ეროვნული საბჭოები. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა ყველა ანტიქართულ ძალასთან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ პირველი სერიოზული ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლის ორგანიზება საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის ზაფხულში შეძლო დუშეთის მაზრაში. აქ შეიარაღებული გამოსვლა ერთობლივად დაგეგმეს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და რუსეთის კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ. რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ დუშეთის მაზრაში შემოგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები, შემოტანილ იქნა დიდი რაოდენობით იარაღი (შაშხანები და ტყვიამფრქვევები). ქართველმა ბოლშევიკებმა დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფელში მიიმხრეს გლეხობის (ძირითადად, პირველი მსოფლიო ომის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების) ნაწილი. ბოლშევიკებმა ასევე მიიმხრეს დუშეთის მაზრის ოსი და სომეხი მოსახლეობა. აჯანყებულებმა რამდენიმე სოფელში დახოცეს სოფლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და გვარდიელები. აჯანყების დაწყების მომენტისათვის დუშეთის მაზრაში ქართული რევოლუციური ჯარისა და სახალხო გვარდიის ძალები მცირე ძალები იმყოფებოდა. ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და მათმა შეიარაღებულმა რაზმებმა და დუშეთი დაიკავეს. 1918 წლის 25 ივნისს დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ხეობით დუშეთისაკენ დაიძრა სპეციალურად მომზადებული რაზმი ბოლშევიკ საშა გეგეჭკორის მეთაურობით. მზადყოფნაში იყო რუსეთის კავკასიის არმია, რომელიც დარიალის ხეობით აჯანყებულთა დახმარების საბაზით დუშეთში უნდა შემოჭრილიყო, ხოლო შემდეგ თბილისი დაეკავებინა. თბილისის დაკავებისთანავე მთელ საქართველოში საბჭოთა წყობილება გამოცხადდებოდა. საბჭოთა რუსეთის გეგმები ჩაშალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ენერგიულმა მოქმედებამ. ქართული რევოლუციური ჯარისა და სახალხო გვარდიის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად აჯანყებულთა რაზმები გაიფანტნენ და საბოლოოდ ჩრდილო კავკასიას შეაფარეს თავი. სასტიკად დამარცხებული და უკუგდებული იქნა საშა გეგეჭკორის რაზმი.

1919 წლის დამდეგიდან რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი შეუდგა საქართველო-

ში ახალი აჯანყების ორგანიზებას. აჯანყებისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა 1919 წლის ივლის-აგვისტოში. ქართველი ბოლშევიკები გაძლიერებულ აგიტაციას ეწოდნენ არმიიდან დემობილიზებულ გლეხობაში, ასევე არაქართულ მოსახლეობაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა ზომებით აჯანყება სანდო ეტაპზე ალკეთა. 1919 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი, თუმცა ქართველმა ბოლშევიკებმა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მაინც მოახერხეს შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა. შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ლაგოდეხში, სიღნაღში, ფოთში, გორში, სენაკში, სამტრედიასში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ახალქალაქში. ბოლშევიკები ცდილობდნენ მათ მიერ პროვოცირებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლად გამოეცხადებინათ. ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს შეიარაღებული აჯანყებისათვის საყოველთაო ხასიათის მიცემა. ლოკალური აჯანყებების ლიკვიდაცია საქართველოს მთავრობას არ გასჭირვებია.

1920 წელს ქართველმა ბოლშევიკებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითების თანახმად, მათ აქცენტი გლეხობიდან მუშათა კლასზე გადაიტანეს. საქართველოს მუშათა კლასის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის უჭერდა მხარს, რის გამოც ბოლშევიკებმა მუშების დარაზმვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ ვერ შეძლეს.

ქართველმა ბოლშევიკებმა ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა კიდევ უფრო გააძლიერეს საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადების შემდეგ. ხელშეკრულების ძალით საქართველოში ბოლშევიკების საქმიანობა ლეგალური გახდა. სწორედ ამ პერიოდიდან ახალი ძალით გაიშალა საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის ორგანიზება. 1920 წლის ბოლოსათვის რუსეთის მეხუთე კოლონა საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ

სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა დაიწყო მზადება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების დასაპყრობად. იმთავითვე გადაწყვიტა, რომ აშკარა აგრესია შენიღბულიყო ვითომდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. 1920 წლის მარტში ვლადიმერ ლენინმა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელს სერგო ორჯონიკიძეს ბაქოს ადგა დაუსახა მიზნად. 1920 წლის აპრილის დამდეგს საბჭოთა რუსეთის მე-11 ნითელმა არმიამ აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაიპყრო და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, პირადად სერგო ორჯონ-


იკიძე და მე-11 ნითელი არმიის სარდლობა შესაძლებლად მიიჩნევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობასაც. საჭირო იყო საბაზი საქართველოში შეჭრისათვის. ასეთ საბაზად იქცა 1920 წლის 1-2 მაისს ღამით ქართველი ბოლშევიკების მიერ მოწყობილი შეიარაღებული თავდასხმა იუნკერთა სამხედრო სასწავლებელზე თბილისში. 2 მაისს აზერბაიჯანში დაბანაკებულმა რუსეთის მე-11 ნითელმა არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი გადმოლახა და თბილისისაკენ დაიძრა. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და მე-11 ნითელი არმიის სარდლობა თბილისის აღებას 15 მაისისათვის ვარაუდობდა. ამის შესახებ ორჯონიკიძემ აცნობა კიდევ მოსკოვს. საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული აგრესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ფაქტობრივად 2 მაისს დაიწყო. ეს აგრესია საქართველო-რუსეთის ფართომასშტაბიან ომში იმხანად იმიტომ არ გადაიზარდა, რომ მოსკოვში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და 1920 წლის 7 მაისს ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულება დაიდო. საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დაპყრობის საკითხიც გარკვეული ხნით გადაიდო.

საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმებზე, ცხადია, ხელს არ იღებდა. აზერბაიჯანის შემდეგ 1920 წლის ნოემბერში მე-11 ნითელმა არმიამ სომხეთის რესპუბლიკა დაიპყრო. საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშო გახდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მომზადებასთან ერთად საბჭოთა რუსეთის დიპლომატია ეიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის მიზნით. ლენინს სურდა გამოეყოფა საქართველოსთან ომის შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ თურქეთისა და ანტანტის გამოსვლის შესაძლებლობა. რუსეთის დიპლომატიამ ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. 1920 წელი აღინიშნა რუსეთისა და თურქეთის დაახლოებით. თურქეთს რუსეთი ესაჭიროებოდა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე ანტანტის წინააღმდეგ. მოკავშირეობის საფასურად რუსეთმა თურქეთს ამიერკავკასიის დათმობა მოსთხოვა, რაზეც თურქეთი დასთანხმდა კიდევ. შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ანტანტის ქვეყნებმა ინგლისის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება, წინ არ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის აგრესიას საქართველოში. ამ პერიოდისათვის ინგლისი დაადაგა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გზას. პირველი მსოფლიო ომისაგან დანგრეული ევროპისათვის აუცილებელი იყო რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა. ამომავად, რუსეთთან მოსალოდნელ ომში საქართველო მარტო რჩებოდა.

საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომს ყოველმხრივ და გულდასმით ამზადებდა. რუსეთი საქართველოს ბრალს სდებდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევაში.

მე-11 გვირგვინი



ნითელი არმია თბილისში



სამხედრო ტაძარი

ახლად გამხელილი საქართველოს ისტორია — 1918-1921 წლები

მე-10 გვერდიდან

რუსეთის ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები ავრცელებდნენ ხმებს იმის შესახებ, რომ საქართველოში თავს იყრიდნენ ისეთი ძალები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს. ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახშობდა მუშებისა და გლეხების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თითქოს აჯანყებული მშრომლები ითხოვდნენ საბჭოთა რუსეთისაგან დახმარებას. ამის პარალელურად სულ უფრო ძლიერდებოდა საქართველოსთან ომისათვის გამიზნული სამხედრო ძალა აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაში. 1920 წლის იანვარში მოსკოვში საბოლოოდ დაზუსტდა საქართველოსთან ომის გეგმა. 1920 წლის 26 იანვარს მოსკოვში ლენინის ინიციატივით მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ. ამ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს და რუსეთის მე-11 წითელი არმიის სარდლობა, პირდაპირ ორჯონიკიძე და კიროვი შეუდგნენ მის რეალიზებას. **გადაწყდა, მე-11 წითელი არმია საქართველოს საზღვრებში შემოჭრილიყო, ვითომდა აჯანყებული მშრომლების დასახმარებლად. აჯანყების ინსცენირება კი უნდა მომხდარიყო ლორეს რაიონში (ბორჩალოს მაზრა).** ამ ნეიტრალურ ზონას შერეული (ქართულ-სომხური) ადმინისტრაცია განაგებდა. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონას სამი თვით მთლიანად საქართველოს ჯარები დაიკავებდნენ. თუ სამი თვის განმავლობაში საქართველო და სომხეთი ვერ მოახერხებდნენ სადავო ტერიტორიის გამოიჯნას, მაშინ საქართველოს იქ აღდგებოდა ნეიტრალურ ზონას და იქ აღდგებოდა შერეული ადმინისტრაციის მმართველობა. ამ შეთანხმების შემდეგ სომხეთი საბჭოთა რუსეთმა დაიბრუნა და საბჭოთა სომხეთის მთავრობამ, მოსკოვის მითითების თანახმად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ლორეს ნეიტრალური ზონიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. საქართველოს მთავრობამ სასაზღვრო კონფლიქტის მოგვარების მიზნით სომხეთის მხარეს მოლაპარაკების დაწყება შესთავაზა. საბჭოთა სომხეთის მთავრობა, ისევ მოსკოვის მითითების თანახმად, მოლაპარაკების დაწყებას აჭიანურებდა. ლორეს ნეიტრალური ზონა სწორედ შესაფერისი ადგილი იყო აჯანყების ინსპირირებისათვის. მაგრამ მდგომარეობას ართულებდა ის, რომ 1921 წლის 13 თებერვალს ლორეს რაიონში ქართული ჯარის ყოფნის ვადა იწურებოდა, რის გამოც აჯანყების ინსცენირება სწორედ 13 თებერვლამდე უნდა მომხდარიყო. ლორეს რაიონში აჯანყების მოწყობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, პირადად ორჯონიკიძემ სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს დაავალა. „საქართველოს მშრომელთა აჯანყება“ ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები რუსი კოლონისტების სოფლებში უნდა დაწყებულიყო. 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამით ბორ-

ჩალოს მაზრის რუსი კოლონისტების სოფლებში, ასევე სომხურ სოფლებში დაიწყო „აჯანყება“, რომელიც საბჭოთა პროპაგანდამ „საქართველოს მშრომელთა აჯანყებად“ მონათლა. ფაქტობრივად, ეს იყო სომხეთში დაბანაკებული საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმიის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. 1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო საომარი ოპერაციები საქართველოსა და რუსეთს შორის. ომის პირველ დღეს ლორეს რაიონში მე-11 წითელმა არმიამ დაამარცხა ქართული ჯარის ნაწილები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამ რაიონში დამატებითი ძალები გაგზავნა. 14-15 თებერვალს ღამით მოსკოვში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მე-11 წითელ არმიას თბილისის დაპყრობის ამოცანას უსახავდა. 15 თებერვალს სტალინმა მოსკოვიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელს ორჯონიკიძეს აცნობა, რომ მე-11 არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინა თბილისი. ყოველივე ეს, ცხადია, უაღრესად საიდუმლოდ ხდებოდა. **მოსკოვი მაინც ამჯობინებდა, შეენიღბა აშკარა აგრესია დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ.** ამიტომ გადაწყდა, აჯანყებული საქართველოს მშრომლების სახელით მოსკოვში გაგზავნილიყო თხოვნა დახმარების თაობაზე. ეს თხოვნა შულავერში ორჯონიკიძის ინიციატივით შექმნილი „საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა“ (რევკომმა) მოსკოვში მხოლოდ 1921 წლის 16 თებერვალს გაგზავნა, მაშინ, როცა 12 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები უკვე საქართველოს საზღვრებში იყვნენ შეჭრილი და ომაც მიმდინარეობდა, ხოლო 15 თებერვალს მოსკოვში მიღებული იყო გადაწყვეტილება თბილისის დაკავების შესახებ. 1921 წლის 12 თებერვალს დაწყებული საქართველო-რუსეთის ომი თავდაპირველად რუსების უპირატესობით მიმდინარეობდა. 19 თებერვალს თბილისის მისაღობთან ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მე-11 წითელ არმიას ძლიერი დარტყმა მიყენა და აიძულა უნესრიგოდ დაეხია უკან. ქართველებმა ათასი ტყვე იგდეს ხელთ. 20 თებერვალს კოჯრის რაიონში მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა კვლავ მარცხი იწვნეს, ბრძოლის ველზე ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები მიატოვეს და უკან დაიხიეს. სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მე-11 წითელი არმიის შეტევის პარალელურად საქართველოზე თავდასასხმელად მტერს მზად ჰყავდა მე-8 წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც სოჭის რაიონიდან აფხაზეთში უნდა შეჭრილიყვნენ. მზადყოფნაში იყო წითელი არმიის ნაწილები ჩრდილო კავკასიაში, რომლებიც საქართველოში უნდა შემოსულიყვნენ ვლადიკავკაზიდან დარიალის ხეობით და მაზისონის გადასასვლელიდან რიონის ხეობით. ცხადია, თბილისის დაცვის საქმეს ძალზე გაართულებდა საომარი ოპერაციები აფხაზეთში, ქართული ჯარები ამ რაიონებიდან გამოყვანილ იქნა. 1921 წლის 24 თებერვლის საღამოსათვის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა ასეთი იყო: საქართველო-რუსეთის ომის ფრონტის ხაზი კახეთიდან მანგლისამდე 90 კილომეტრზე გადაჭიმულიყო, რომლის დაცვა რეზერვების სიმცირის გამო შეუძლებელი ხდებოდა. თბილისის მისაღობები ზოგ

რაიონში საერთოდ დაუცველი იყო. ასეთი ვითარებით მტერმა მაშინვე ისარგებლა. რუსების კავალერია სოფელ დილომის გავლით ქართული ჯარის ზურგში შეიჭრა. იმავდროულად მტერმა კოჯრიდან საბურთალოსკენ შეუტია. მე-11 წითელი არმიის სარდლობა ცდილობდა ვაზიანიდანაც შეჭრილიყო ქართული ჯარის ზურგში. იქმნებოდა იმის რეალური საფრთხე, რომ მტერი ავჭალაში შეიჭრებოდა და ქართულ ჯარს უკან დასახე გზას მოუჭრიდა. ასეთ ვითარებაში 24 თებერვალს, საღამოს 10 საათზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარ-სარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ მიიღო გადაწყვეტილება მცხეთის მიმართულებით უკან დახევისა და ახალი გამაგრებული ხაზის შექმნის შესახებ. თბილისის დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას წინ აღუდგა გენერალი გიორგი ოდიშელიძე, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მხარი გენერალ გიორგი კვინიტაძეს დაუჭირა. ქართული ჯარი და სახალხო გვარდია შექმნილ სამხედრო-სტრატეგიულ სიტუაციაში თბილისის დაცვას მართლაც ვერ შეძლებდა. თუმცა ცხადი იყო ისიც, რომ თბილისის დაცვაში მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა იქნებოდა ჯარისა და მოსახლეობისათვის. 1921 წლის 24 თებერვალს ღამით 12 საათზე დაიწყო ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილების უკანდახევა მცხეთის მიმართულებით. 25 თებერვალს თბილისში რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ. თბილისის დატოვების შემდეგ ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მტერს ძლიერი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ქართული ჯარების წინააღმდეგობას უპერსპექტივოდ ხდიდა მამისონის უღელტეხილიდან რიონის ხეობით ქუთაისისაკენ დაძრული და აფხაზეთში სოხუმის მიმართულებით შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარების მოქმედება. ბრძოლის გაგრძელებას აძნელებდა თურქეთის ქემალისტური მთავრობის ანტიქართული პოლიტიკაც. არტანუჯისა და ართვინის დაკავების შემდეგ თურქეთის მთავრობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აცნობა, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის აღარ არსებობდა სადავო საკითხები. ამავე დროს თურქეთის მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სთავაზობდა თურქეთის ჯარებით ბათუმის დაცვას რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან. ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის აგრესიული გეგმების შენიღბული გზით განხორციელების ცდა, რასაც რუსეთთან ომში ჩაბმული საქართველო წინ ვეღარ აღუდგა. ბათუმში შესვლის შემდეგ თურქებმა განაცხადეს, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრების დადგენილების თანახმად უნდა მოეხდინათ ბათუმისა და მისი ოლქის ანექსია. შესაბამისად, თურქეთის ჯარმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან ერთად, თურქებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ულტიმატუმის ოლქში მყოფი ქართული ჯარის განიარაღება, რაზეც უარი მიიღეს. ბათუმში ქართულ ჯარსა და თურქეთს შორის დაიწყო ცხარე ბრძოლები. ქართველებმა თურქები კი განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ, ცხადია, რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ ორ

ფრონტზე ბრძოლა საქართველოს არ შეეძლო. შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში არც სურამის ქედზე და არც ქუთაისის მისაღობებთან ბრძოლების გამართვას აზრი არ ჰქონდა. მთავრობა ბათუმში გადავიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ბოლომდე შეასრულეს მოვალეობა და, კატასტროფული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის წინაშე კაპიტულაციას მაინც არ დასთანხმდნენ. ლენინსა და სტალინს დიდი სურვილი ჰქონდათ, ნოე ჟორდანიას გამოეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადადგომა, ხოლო დამფუძნებელ კრებას მოეხსნა უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ ქვეყანაში სახელმწიფო ძალაუფლების აღება, რუსეთის მხრიდან აშკარა სამხედრო აგრესიის მიუხედავად, მაინც კანონიერ სახეს იძენდა, საქართველოს ახალი ხელისუფლება ძველის სამართალმემკვიდრედ იქცეოდა. სწორედ მოვლენების ამგვარი განვითარების თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად ბათუმში გამართული საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელმაც დაადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლა და იქიდან ბრძოლის გაგრძელება რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს განთავისუფლების მიზნით. თვით დამფუძნებელ კრებას, როგორც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თავისი უფლებამოსილება არ მოუხსნია. ამრიგად, სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველო კახა რუსეთის ინტერვენციის მსხვერპლი, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა, რომ რუსეთის ჯარები უმოწყალოდ გაუსწორდებოდნენ ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის მებრძოლებს, მთელ მოსახლეობას. ამიტომ მან ბათუმიდან თავისი რწმუნებული გრიგოლ ლორთქიფანიძე გაგზავნა ქუთაისში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის რწმუნებულთან მამია ორახელაშვილთან მოსალაპარაკებლად. ეს მოლაპარაკება 1921 წლის 17-18 მარტს გაიმართა ქუთაისში. იგი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. მიღწეული შეთანხმების თანახმად, საომარი ოპერაციები შეწყდა. 1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა. თურქებმა სცადეს შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება და ბათუმის დაკავება მოინდომეს. ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა გენერალ გიორგი მანიაშვილის მეთაურობით, რუსეთის წითელი არმიის ნაწილების თანადგომით შეძლეს თურქების უკუგდება. ამრიგად, საქართველო-რუსეთის ომი 1921 წლის თებერვალ-მარტში დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემითა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით.

საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2003



სამხედრო აღლუმი ერევნის მოედანზე (1921 წ.)

1942 წელს საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ შეთქმულებაში ბრალდებული უნივერსიტეტელები

1921 წელს საქართველოს გასაბჭოებას უამრავი ადამიანის სიკვდილით დასჯა და გადასახლება მოჰყვა. საბჭოთა მმართველობის რეჟიმის შიშით ადამიანებმა ნათესავების, მეგობრების წლობა დაკარგეს. საბჭოთა დიქტატურის პირობებში საზოგადოებას ხელისუფლების მიერ დაწესებული ცენზურის გარდა, თვითცენზურაც აკონტროლებდათ, რაც არამარტო საუბრისას, არამედ ფიქრის დროსაც დიდ ზეგავლენას ახდენდა მათზე. **ლეო კვაჭაძე და თინა თუშმალიშვილი** თავად გახდნენ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლნი და, გასული წლების მიუხედავად, დღესაც ისევე სტკივით საბჭოთა რეჟიმის მიერ მიყენებული ჭრილობები, როგორც ნახევარი საუკუნის წინ.

ნატო ოზოლაძე

„მისაბიშვილი დახვრეტა!... კაციტაძე დახვრეტა!... ძიგვაშვილი დახვრეტა!.. ახობაძე დახვრეტა!.. ბურღიაშვილი დახვრეტა!.. თარგამაძე დახვრეტა!.. თორაძე დახვრეტა!.. იმერლიშვილი დახვრეტა!.. საბაშვილი დახვრეტა!.. ქადაგიძე დახვრეტა!.. შავიანიძე დახვრეტა!.. შანშიაშვილი დახვრეტა!.. ჯოგლიძე დახვრეტა!.. — 1942 წლის ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნამ 17 ახალგაზრდას, მწერლობაში ახლად ფეხმდგომულ 17 ახალგაზრდას, 17 ასპირანტს გამოუტანა სიკვდილის განაჩენი“ — წარმოდგენაში დახატულ ამ შემზარავ სურათს ცრემლმორეული იხსენებს 1942 წლის შეთქმულების თანამონაწილეობაში ბრალდებული ლეო კვაჭაძე, რომელიც სამხედრო ტრიბუნის სასიკვდილო განაჩენს გადაურჩა. ახლა ბატონი ლეო 101 წლისაა და უკვე ღრმად მოხუცი წარსულს ემოციების გარეშე ვერ იხსენებს.



ლეო კვაჭაძე: ჩემი და მთელი საქართველოს სატყვეობის რეჟიმი კვეყნის დღევანდელი მდგომარეობაა. კიდევ ერთი ომი... 100 წელს გადავაბიჯე და, სამწუხაროდ, ჩემი მოხუცებულობის ყამი ისევ მწარედ მიდის. ვისურვებდი, რომ ისტორია შემობრუნდეს და ქართველმა ქართველის სახელი ღირსეულად დაიმკვიდროს, რომ საქართველო აღარასდროს წაიქცეს

ლეო კვაჭაძე და თინა თუშმალიშვილი იმ 33 ახალგაზრდას შორის იყვნენ, რომლებიც 1942 წელს საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით აიყვანეს. ბრალდებულებს შორის მხოლოდ ეს ორი ადამიანი გადაარჩა დაუსჯელი. ორივე გაამართლეს... უაღრესად განათლებული, ინტელიგენტი ეს ორი ადამიანი ერთმანეთთან დღესაც მეგობრობს, ორივეს წარსულის მოგონებები ფურცელზე გადააქვს და იმ ადამიანებს გვაცნობს, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმმა ეროვნული მენტალიტეტი ვერ ჩაუხშო და თვითცენზურა ვერ დაუნესა. „ეს 17 ბიჭი, რომლებსაც საბჭოთა მთავრობამ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, ძალიან ნაკითხი, ძალიან განათლებული იყო. საქართველოს ისტორიას არ გვასწავლიდნენ, მაგრამ ჩვენ თვითონ ვწავლობდით. მართალია, ერთმანეთის წლობა გვექონდა, მაგრამ გვეშინოდა და არსებული რეჟიმის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ხმაზე მაინც ვერ ვსაუბრობდით. ჩვენ უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის“, — იხსენებს თინა თუშმალიშვილი.

თინა თუშმალიშვილი და ლეო კვაჭაძე იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ომის დროს დაიბადნენ, რეპრესიების პერიოდში პიროვნებად ჩამოყალიბდნენ, საკუთარ თავზე და ოჯახზე გამოსცადეს საბჭოთა რეჟიმის სისასტიკე და უსამართლობა და რომლებიც ღრმა სიბერეს ისევ რუსეთის აგრესიის პირობებში ატარებენ. თინა თუშმალიშვილი ამბობს, რომ ის დაავადებული ფსიქიკა, რომელიც ხალხს საბჭოთა საქართველოში ცხოვრებამ ჩამოუყალიბა, არ ინკურნება. გაბატონებული თვითცენზურა და ხელისუფლების დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ ადამიანებზე

დამორგუნველად მოქმედებდა. შუალამისას კარზე კაკუნი, დაპატიმრებული და შემდეგ უკვე უგზო-უკვლოდ დაკარგული ახლობელი, გაჩხრეკილი სახლი და წაღებული პირადი ნივთები, შემდეგ უკვე საზოგადოების მტრული დამოკიდებულება რეპრესირებული ადამიანების მიმართ — ორიოდ სიტყვით ჩამოყალიბებული ეს შეგრძნებები სამუდამო შიშსა და პროტესტს ბადებდა. უბრალო საუბარში ანტისაბჭოთა განწყობილების გამოვლენებისთვის თუ მსგავსი დამოკიდებულების ადამიანთან მეგობრობის შემთხვევაშიც კი ბრალდებულებს საბჭოთა სასამართლო ტრიბუნები დახვრეტის განაჩენს უდგენდნენ. „სამინელი დალი დასვა გასაბჭოებას საზოგადოებას. ადამიანები, რომლებიც ფარისევლები იყვნენ და იცოდნენ ცხოვრებაზე მორგება, ისინი დაწინაურდნენ. საბჭოთა წყობილების შიში ახლაც მომყვება. სამინელი გრძობა იყო, როდესაც სახლთან ღამე მანქანა ჩერდებოდა... ახლაც მაქვს გამოყოფილი შიში მანქანის გაჩერების ხმაზე, ახალი წლის ღამეს კი საერთოდ არ მიძინებია. ახლანდელმა თაობამ უნდა დააფასოს, რომ ამ რეჟიმისგან გათავისუფლდა, რადგან ეს გრძობა ანადგურებს ადამიანს“, — გვითხრა 91 წლის თინა თუშმალიშვილი.

საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული ადამიანები უდიდესი პატივისცემით და კრძალვით იხსენებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე იმ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც სტუდენტებს ეროვნულობას და სამართლიანობას უნერგავდნენ. თინა თუშმალიშვილი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „თინა“ საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობს ინგლისური ენის ლექტორის ერეკლე ტატიშვილის მოგონებას, რომელიც სტუდენტებთან პირდაპირ საბჭოთა წყობილების ნაკლოვანებებზე არასდროს საუბრობდა, თუმცა სასწავლო პროგრამაში ჩადებული ნაწარმოებებით სტუდენტების აზროვნებას სწორ მიმართულებას აძლევდა. „ერეკლე ტატიშვილის მსგავსი პიროვნებები ძალიან ფრთხილად, ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც გვინერგავდნენ პატრიოტიზმს და უარყოფით დამოკიდებულებას არსებული ვითარებისა და ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ამის ხმაზე არაფერი გამოვიცხადებდი“, — იხსენებს ქალბატონი თინა.

ლეო კვაჭაძე გულისტკივლით გვიყვება, თუ როგორ გაატარეს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ივანე ჯავახიშვილისა და შალვა ნუცუბიძის კვლევები, თუ როგორი ცინიზმით ესაუბრებოდნენ ამ უაღრესად განათლებულ ადამიანებს უბრალო სტუდენტებიც კი. „უნივერსიტეტის სამსჯავროზე გამოიტანეს ივანე ჯავახიშვილის დაწერილი საქართველოს ისტორია. ერთ-ერთი სტუდენტი გამოვიდა და თქვა, რომ ივანე ჯავახიშვილის საქართველოს ისტორია ციხეების და მეფეების ისტორიაა. რამდენიმე ხნის შემდეგ კრიტიკის სამსჯავროზე „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელი შალვა ნუცუბიძე გამოიყვანეს... ეს აუტანელი იყო“, — იხსენებს ბატონი ლეო კვაჭაძე.

პატიმრობის შესახებ ლეო კვაჭაძეს და თინა თუშმალიშვილს საბჭოთა კავშირის დაშლამდე არასდროს უსაუბრიათ — ეს ერთ-ერთი პირობა იყო, რომელიც პატიმრობაში მყოფებს ნაუყენეს. ქალბატონმა თინამ პატიმრობის მძიმე პერიოდს დაწვრილებით აღწერა: „სტუდენტებთან ჩემს წარსულს არასდროს ვყვებოდი. როდესაც მათავისუფლებდნენ, დამიძახეს, მომცეს ფანქარი და მითხრეს, რომ დამეწერა განცხადება, რომელიც დამავალდებულებდა ადამიანების დაბეზულებას, მე არაფერი დამიწერია. ისინი ჩემთან დამა-



უნივერსიტეტელი „სამანელები“ თანაკურსელებთან ერთად

რცხდნენ, თუმცა პირობა დავდე, რომ რაც ვნახე და განვიცადე — არავის მოუყვებოდი. მართლაც, ოჯახშიც არაფერი მითქვამს, მარტო ერთ ნათესავს ვუამბე. ამ თემაზე ხმაზე არაფერი საუბარი პირველად წიგნის დაწერისას გავბედე და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა“, — ამბობს ქალბატონი თინა. ხოლო ბატონმა ლეომ ჩვენთან საუბრისას თავი შეიკავა ავტობიოგრაფიულ წიგნში, რომელზეც ამჟამად მუშაობს, მისი ცხოვრების ყველა დეტალი იქნება აღწერილი.



თინა თუშმალიშვილი: „თქვენ არ იცით, რა ბედნიერები ხართ, რომ ყველაფერზე ლაპარაკი თავისუფლად შეგიძლიათ! ჩემთვის ყველაზე დიდი ღირებულება დემოკრატიაა! როცა საუბრობთ, თქვენ არ ფიქრობთ — რაზე ილაპარაკოთ და რაზე — არა. იცით ეს რას ნიშნავს?“

საბჭოთა რეპრესიებში უამრავი ქართული ოჯახის მსგავსად ლეო კვაჭაძეს და თინა თუშმალიშვილს ოჯახის წევრებიც მოჰყვნენ. ქალბატონ თინას მამა დაუპატიმრეს, რომელიც ციხიდან ცოცხალი აღარ გამოსულა, ლეო კვაჭაძეს მძა კი ჯერ დააკავეს, შემდეგ დახვრეტეს. „ჩემი დამოკიდებულება სტალინის მიმართ უარყოფითია, სტალინი ძალიან ახლობელი იყო ჩემი ბების ძმის, მათე ახმეტელის. მათე ახმეტელი და სტალინი სასულიერო სასწავლებელში ერთად სწავლობდნენ. მიუხედავად ამისა, სტალინმა მთელი ახმეტელების ოჯახი გაანადგურა. მარტო მათე ახმეტელი დაინდო, რომელთან ერთადაც სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა“, — ასე ახასიათებს თინა თუშმალიშვილი მასობრივი რეპრესიების ავტორს იოსებ სტალინს.

რეპრესირებული ადამიანების ისტორიის მოსმენა განცდების გარეშე შეუძლებელია. მათ თაობას ძალიან უყვარდა ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიას ყველა მალულად სწავლობდა — ეს ყველა ან რეპრესირებულთა შვილი იყო ან თავად რეპრესირებული, საუკეთესო შემთხვევაში კი „მოყურებულ“ ბედს ჩაბლაუჭებულნი. „როცა მამაპატიმრებდნენ, სანერ მაგიდაზე თვალში ეცათ ჩემი ნათარგმნი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“. მაშინვე ხელი დასტაცეს ფურცლებს და წაიღეს...“ — სიმწრით იხსენებს ქალბატონი თინა ამ სცენას, რადგან მას შემდეგ, რაც გაათავისუფლეს, უკვე დათრგუნულმა და შიშობრუნულმა ველარასოდეს მოახერხა — მიბრუნებოდა „მგზავრის წერილების“ თარგმნას.

როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, თურმე ორივე — თინა თუშმალიშვილი და ლეო კვაჭაძე წინაპრების საფლავებთან მივიდნენ და ცრემლით აუნყეს სასიხარულო ამბავი.

თინა თუშმალიშვილი და ლეო კვაჭაძემ ჩვენთან საუბრისას საქართველოს დღევანდელი მდგომარეობაც შეაფასეს. ორივე მათგანის სურვილი ფეხზე დამდგარ საქართველოში ცხოვრებაა. „ჩემი და მთელი საქართველოს სატყვეობის რეჟიმი კვეყნის დღევანდელი მდგომარეობაა. კიდევ ერთი ომი... 100 წელს გადავაბიჯე და, სამწუხაროდ, ჩემი მოხუცებულობის ყამი ისევ მწარედ მიდის. ვისურვებდი, რომ ისტორია შემობრუნდეს და ქართველმა ქართველის სახელი ღირსეულად დაიმკვიდროს, რომ საქართველო აღარასდროს წაიქცეს“, — გვითხრა საუბრის დასასრულს ლეო კვაჭაძე. ქალბატონმა თინამ კი გაცილებით დროს შეგვაჩერა და გვითხრა: „თქვენ არ იცით, რა ბედნიერები ხართ, რომ ყველაფერზე ლაპარაკი თავისუფლად შეგიძლიათ! ჩემთვის ყველაზე დიდი ღირებულება დემოკრატიაა! როცა საუბრობთ, თქვენ არ ფიქრობთ — რაზე ილაპარაკოთ და რაზე — არა. იცით ეს რას ნიშნავს?“ — ასეთი ანთებული თვალბრუნვებით ვტოვებთ ღრმად მოხუცებულს, რომელიც პატარა საკმლიდანაც არ გვეშვება და ფანჯარაზე ხელის ფათურით გვემშვიდობება... მან თავისი დიდი ისტორია ხომ ჩვენ ჩავვაბარა.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია	რედაქციის წევრები: ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭილაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სამცხალისტი მანანა ჯორჯაძე	ფოტოკორესპონდენტი ლიკა პეტრიაშვილი	კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქაჯარაძე